ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 თებერვალი, 2021 №21 (8550) ფასი: 60 თეთრი

„სიკვდილის წინა დღეს ბედნიერი იყო, თურქეთში უნდა წამეყვანა“

რა გახდა 14 წლის ნინი ცეცხლაძის გარდაცვალების მიზეზი

23 წლის ნიკა ტაკიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

გვ.5

„ივანიშვილი დროებით გავიდა მომსახურების ზონიდან“

„ნიკა მელიას ეს დაუმორჩილებლობა არის როგორც სიმბოლური, ასევე პოლიტიკური და მორალური საპროტესტო აქტი“

გვ.2

„წულუკიანი თავს კულტურის მინისტრად აცხადებს“

გვ.4

„მელიას დაკავება „ოცნებას“ ძვირად დაუჯდება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „პარლამენტი ივანიშვილის პირად ბოსლად გადაიქცა“

„ნაცმოძრაობის რამდენიმე ძველმა სახემ თავისი დრო მოჭამა“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „კითხვებს აჩენს, რატომ მოხდა უგულავა-სააკაშვილის შეხვედრა“

„მელიას არ დაიჭერენ, გარიგება მოხდება და განტევების ვაცი პროკურატურა და სასამართლო იქნება“

ოთარ კახიძე: „პოლიტიკისთვის დრო აღარ მაქვს, რადგან კომპანია დავაფუძნე“

გვ.3

„ევროპულ საქართველოში“ ვრჩები, ბოკერიას მხარეს ვარ“

გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „ქვეყნისთვის „გირჩი“ და ბანკირების პარტია „ლელო“ ანომალიაა“

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველი ბათუმში საპატიო ყარაულის თანხლებით დაკრძალეს

გვ.5

ISSN 1987-9385

2 სააკაშვილი: „ნიკა მელია არის მაგარი ლიდერი და ის გმირულად იქცევა“

6 გაიდენს გუანტანამოს ციხის გაუქმება სურს

5 სუსმა მე-4 პოლიკლინიკის დირექტორი და კიდევ 3 ექიმი პასუხისგებაში მისცა

6 აშშ-ის სენატმა ტრამპს იმპიჩმენტი არ გამოუცხადა მას 10 ხმა დააკლდა

„ივანიშვილი დროებით გავიდა მომსახურების ზონიდან“

„წულუკიანი თავს კულტურის მინისტრად აცხადებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას პატიმრობა ემუქრება. ამ კვირაში პარლამენტი ნიკა მელიას იმუნიტეტს შეუჩერებს. კეთდება შეფასებები, რომ მელია შეგნებულად არ იხდის გირაოს, პროვოკაციაზე მიდის. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– რა თქმა უნდა, სწორია ეს შეფასება, რომ შეგნებულად არ იხდის, იმიტომ, რომ ეს იყო უსამართლო გადაწყვეტილება, სადაც ამ შემთხვევაში ნიკა მელიას აქვს ყველანაირი, მათ შორის მორალური უპირატესობა და ასევე – მთელ ოპოზიციას. ეს საკითხი გასცდა ნიკა მელიას თემას. ეს უკვე არის ზოგადად ქვეყანაში ძალმომრეობრივი რეჟიმის ქმედების საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია, რომელსაც ფაქტობრივად ზურგს უმაგრებს მთელი ოპოზიცია და მთელი ქვეყანა.

– რის თქმა გინდათ, რომ ნიკა მელიას მთელი ოპოზიცია დაიცავს?

– ასეა. ყველა კარგად ხედავს, რომ გავრილოვის საკითხთან დაკავშირებით ნიკა მელიას დაპატიმრება იქნება საბოლოო ნიშანი იმისა, რომ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააცილა ხელისუფლებამ და დროა, ეს ხელისუფლება დროზე შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა იქნება დარჩენილი მუდმივ გასაჭირში და არ ექნება არავითარი პერსპექტივა. ამიტომ ნიკა მელიას წინააღმდეგ ბრძოლა ოპოზიციის მხრიდან მთლიანად ხელისუფლებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლად გადაიქცა.

– ოპოზიციის მიმართ ლოიალურად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები მოვისმინეთ, სადაც საუბარია იმაზე, რომ კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს და მელიამ გირაო უნდა გადაიხადოს. შეგნებულად ძაბავთ სიტუაციას? საკაკაშვილისგან იღებს მითითებებს ნიკა მელიაო. ასეა?

– ნიკა მელიას გადახდილი აქვს გირაო 30 ათასი ლარი და რომ დაუწესონ კიდევ მესამედ, მეათედ და მეასედ, ყოველთვის უნდა ვთქვათ არგუმენტად, რომ კანონი არის და უნდა შესრულდეს?! კანონი არ არის მორჩილი სასამართლოს მიღებული არაკანონიერი გადაწყვეტილება. ეს არის ის ბოლო ზღვარი, რომელიც მეტი თავხედობის საშუალებას მისცემს ხელისუფლებას. ამიტომ ამას უნდა დაესვას წერტილი და ნიკა მელიას ეს დაუმორჩილებლობა არის როგორც სიმბოლური, ასევე პოლიტიკური და მორალური საპროტესტო აქტი.

– ნაციონალურ მოძრაობას ესკალაციისკენ მიჰყავს სიტუაციაო. მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები ყველამ მოისმინა. ახალ რევოლუციას გეგმავენო. რას უპასუხებთ ამ ყველაფერს? მართლაც ცდილობთ, რომ ასე ააგოროთ ტალღა და ამ მოტივებით გამოიყვანოთ ხალხი ქუჩაში?

– მაინტერესებს, რა აუცილებელია უკვე არსებული გირაოს გაზრდა?! ვინ მიდის პროვოკაციაზე? თუკი ნიკა მელიას გადახდილი თანხა 30 ათასის ნაცვლად 70 ათასი იქნება, რა, უფრო მეტად იქნება შეშინებული ნიკა მელია?! ამიტომ პროვოკაციას ეწევა თავად ხელისუფლება, რომელიც ძაბავს სიტუაციას. ანუ რაშია საქმე? 30-ათასიანი გირაოს შემთხვევაში ნიკა მელია იქნება დაუმორჩილებელი და, თუ 70-ათასიანი გირაო იქნება, ე.ი. ნიკა მელიას მოათვინიერებენ?! მოთვინიერება გამოიხატება ფულის რაოდენობაში?! მაშინ დაეწესებინათ 2 მილიონი! თავისთავად, როდესაც უკვე ფულით იზომება ხელისუფლების გადაწყვეტილებები, ეს ნიშნავს იმას, რომ თავად ხელისუფლება მიდის პროვოკაციაზე და გვაიძულებს, მსგავსი ნაბიჯები გადავდგათ.

– ნიკა მელიას დევნის ხელისუფლება?

– დიახ, ეს არის პირდაპირი პოლიტიკური დევნა, მაგრამ ისე შევაჩვიეთ ყური ჩვენს ქვეყანაში ამ სიტყვას, თითქოს ეს რაღაც უმნიშვნელოა. პოლიტიკური დევნა საშინელი რამ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, არ არსებობს ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოები და რეალურად ქვეყანა არ არის დამოუკიდებელი. პოლიტიკური დევნის არსებობა ავლენს ქვეყანაში არსებულ სხვა უზარმაზარ პრობლემებს. ამ ქვეყანაში ყველაფერი ეკუთვნის ერთ ადამიანს და ამ ერთი ადამიანის ნებაზე ხორციელდება ნებისმიერი გადაწყვეტილება. ამიტომ ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხს არ წყვეტს ე.წ. პოლიტსაბჭო.

– აბა, ვინ წყვეტს?

– გადაწყვეტილებას იღებს ერთი ადამიანი. „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, უმნიშვნელო გადაწყვეტილებები მიიღოს ისე, რომ ივანიშვილს არ ჰკითხოს, მაგრამ მელიას საკითხს, რომელსაც მოჰყვება ძალიან დიდი საგარეო და საშინაო რეზონანსი, ბუნებრივია, პაიკებით დაკომპლექტებული პოლიტიკური საბჭო ვერ გადაწყვეტს. არათუ ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხს ვერ გადაწყვეტს, არამედ წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნა-არდანიშვნის საკითხსაც ვერ გადაწყვეტს. აგერ, წულუკიანი დაიარება კულტურის ობიექტებში, რუსთაველის თეატრში და სადღაც-სადღაც და წინასწარ ეუბნება თავის პარტიას, რომელსაც გადაწყვეტილება არ მიუღია, მე ვარ კულტურის მინისტრი, თქვენ კი გევალებათ დაადასტუროთ ივანიშვილის დანაბარებიო. სიმღერა რომაა, წერეთელმა დაგვიბარაო, აი, ზუსტად ეგ სიტუაციაა.

– ანუ ივანიშვილმა დაიბარა, რომ წულუკიანი უნდა გახდეს კულტურის მინისტრი?

– კი, ასეა. წულუკიანის ვოიაჟი კულტურის სხვადასხვა ობიექტზე არის სწორედ იმ სიმღერის ნაირსახეობა, როგორიც არის „წერეთელმა დაგვიბარა“... წულუკიანი ამბობს, ივანიშვილმა დაგვიბარა და ახლა კეთილი ინებეთ და შეასრულეთ ეს დანაბარებიო. როდესაც „ოცნება“ ირწმუნება, რომ თურმე ჯერ კულტურის მინისტრთან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა, ამ დროს წულუკიანი ცინიკურად დადის და არცხვენს საკუთარ პოლიტიკურ გუნდს იმის გამო, რომ ის თავს წარადგენს კულტურის მომავალ მინისტრად.

– ივანიშვილი ხომ წავიდა? მინისტრებს მაინც ის შეარჩევს?

– სად წავიდა? ძალიან დიდი გულუბრყვილობა იყო იმაზე საუბარი, რომ ივანიშვილი წავიდა. სხვათა შორის, ამას ამბობდნენ ოპოზიციაშიც, ოღონდ რა მიზანი ჰქონდა ამას? ვინმეს ამის სჯეროდა? ოპოზიციის ნაწილი, რომელსაც არ სჯეროდა ივანიშვილის წასვლის, ამას მაინც ირწმუნებოდა.

– ეს რაში სჭირდებოდათ?

– ფიქრობდნენ, თუ იტყოდნენ, რომ ივანიშვილი წავიდა, ამით მოახდენდნენ „ოცნების“ დემორალიზებას. ეს მიდგომა არ იყო სწორი. ივანიშვილი არსად წასულა. ის, უბრალოდ, გავიდა მომსახურების ზონიდან ვიღაცებისთვის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დაბრუნდება. მან დატოვა თავისი მძევლები, რომლებსაც არავითარი მითითება არ სჭირდებათ ივანიშვილისაგან. ყველამ ძალიან კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს. პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში არიან, ასე ვთქვათ, ხელშეუხებელი ადამიანები და თავზე ხელწამოსაკრავები.

– ვინ არიან ხელშეუხებლები?

– ხელშეუხებელი ადამიანები არიან ისინი, რომლებიც წარმოადგენენ ბიძინა ივანიშვილის ორეულებს, ალტერ ეგოს. ვინ არიან?! ისინი, ვინც გამოიზარდნენ მის სკამზე – უშიშროების მინისტრი, შს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ყოფილი იუსტიციის მინისტრი, ასევე ფინანსთა მინისტრი, რომელმაც იცის, ფული სად გაედინებოდა. ის არ არის ივანიშვილის გუნდის წევრი, მაგრამ ურჩევნია, ახლოს ჰყავდეს, ვიდრე შორს, ხოლო დანარჩენები, იქნება ეს განათლება, იუსტიცია თუ საგარეო საქმეთა, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტრო – ესენი მეორეხარისხოვანნი და თავზე ხელწამოსაკრავები არიან. საგარეო საქმეთა მინისტრი არ შეიყვანეს პოლიტსაბჭოში! რის გამო? იმის გამო, რომ ის არ არის ივანიშვილთან დაახლოებული პირი. ივანიშვილი ოპერატიულ ჩარევებს განერიდა, თორემ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მის გარეშე არავინ მიიღებს. ამიტომ, მელიას დააპატიმრებენ თუ არა, ეს გაირკვევა ბოლო წამს.

– როგორ ფიქრობთ, დააპატიმრებენ? თუ ასე მოხდა, რა პროცესები მოჰყვება ამას?

– სხვა ლიდერებიც იყვნენ დაპატიმრებული, უგულავაც, ოქრუაშვილიც, მაგრამ ახლა გარეთ არიან. ამას მოჰყვება ძალიან მძიმე შედეგები ხელისუფლებისათვის. ნაადრევად გაითხრიან საფლავს!

– ივანიშვილმა უნდა თქვას, მელია დაიჭირონ თუ არა?

– დიახ, ამ საკითხს მხოლოდ ის წყვეტს.

საკაკაშვილი: „ნიკა მელია არის მაგარი ლიდერი და ის გმირულად იქცევა“

„გიგი უგულავა მართლა იყო ჩემთან ჩამოსული“

– ცდიან დაჭერას, ვუი მაგათ პატრონს და, თუ ვერ დაიჭერენ, ვაი მაგათ.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, როდესაც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ნიკა მელიას საქმეზე ისაუბრა. მისი თქმით, მელიას საქმე არის პოლიტიკური დევნა.

– ეს არის ჩვეულებრივი გამოვლინება უსამართლობის და პოლიტიკური დევნის. ამ შემთხვევაში ნიკა მელია არის სიმბოლო იმისა, რაც ხდება პრაქტიკულად საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ. საქართველოში სამართლის პოვნა არის შეუძლებელი და მოსამართლეების მთელი ჯგუფი გადაქცეულია ჩვეულებრივ „კლანად“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ნიკა მელიას „სისულელეზე, იდიოტიზმზე იჭერენ“.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული საზოგადოება არის ღირსებით აღსავსე და „ყველას ყელში ამოუვიდა, რაც ხდება“.

– ნიკა მელია არის ძალიან მაგარი ლიდერი, ნიკა მელია გმირულად იქცევა, მაგრამ ახლა თითოეული ქართველი უნდა გახდეს ლიდერი, განსაკუთრებით ახალგაზრდა და თითოეული ჩვენგანი იყოს მოწოდების სიმაღლეზე“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

სააკაშვილის თქმით, მელიას დაიჭერენ თუ არა, „ასეც და ისეც ხელისუფლების საქმე წასულია“.

– ცდიან დაჭერას, ვუი მაგათ პატრონს და, თუ არ დაიჭერენ, ვაი მაგათ. აი, ასეთ დღეში ჩაიყენეს თავი. ეგენი თვითონ რომ არიან მხდალები, გადაწყვიტეს, რომ აქედანაც არიან მხდალები, – განაცხადა სააკაშვილმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

მისივე თქმით, საქართველო ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს. ეს არის სინათლისა და სიბნელის ბრძოლა, სადაც, საბოლოო ჯამში, სინათლე გაიმარჯვებს.

სააკაშვილმა გიგი უგულავასთან შეხვედრაზეც ისაუბრა.

– გიგი იყო აქ მართლა, ჩემთან სახლში, სუფრა გავუშალე, ძალიან თბილი შეხვედრა იყო. თითქმის არ გვილაპარაკია პოლიტიკაზე, არ მინდოდა, მოგვეწამლა ადამიანური შეხვედრა. მე მათი კამპანია, რა თქმა უნდა, არ მომეწონა, მიმაჩნია, რომ მათმა კამპანიამ პირველ რიგში დააზარალა ისინი და ჩვენი საერთო საქმე, თავდასხმები ჩემზე, მაგრამ შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი ძალების გაერთიანება. წარსულზე კონცენტრირება არ იყო საჭირო, საჭიროა მომავალზე კონცენტრირება, – განაცხადა სააკაშვილმა.

მამუკა მდინარაძე: „ნიკა მელიას იმუნიტეტს მოვუხსნით“

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, უმრავლესობა მხარს დაუჭერს ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხს.

ამის შესახებ მამუკა მდინარაძემ 13 თებერვალს უმრავლესობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– ნიკა მელიამ საკუთარი თავი ასეთი ალტერნატივის წინაშე დააყენა – უწევს, ან ბოდიში მოუხადოს საზოგადოებას, სახელმწიფოს და გადაიხადოს გირაო, ან თავადვე დაიმძიმოს აღკვეთის ღონისძიება.

ჩვენ ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხის განხილვა აღარ გადავდეთ, რათა მან წინასწარ იცოდეს გუნდის საერთო პოზიცია, რომ უმრავლესობა მხარს დაუჭერს მისთვის იმუნიტეტის მოხსნას. შესაბამისად, მას კიდევ აქვს დრო და შესაძლებლობა, მიიღოს არა პროვოკაციული დღის წესრიგით ნაკარნახევი, პოლიტიკური გადაწყვეტილება, არამედ პატივი სცეს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობას და გადადგას სამართლებრივად სწორი, კანონის მოთხოვნების შესაბამისი ნაბიჯი.

აქვე, საზოგადოებამ უნდა იცოდეს და ხაზგასმით აღვნიშნავთ – დღეს ერთადერთი ადამიანი, ვისზეც ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების დამძიმება-არდამძიმების საკითხია დამოკიდებული, თავად ნიკა მელიაა და მას კიდევ რამდენიმე დღე რჩება, რომ კარგად გაიაზროს საკუთარი გადაწყვეტილება, – დასძინა მამუკა მდინარაძემ.

ვახტანგ გომელაური: „კანონის წინაშე ყველა თანასწორი ვართ. რასაც დაგვავალებს კანონი, ჩვენ იმას შევასრულებთ“

– კანონის წინაშე ყველა თანასწორი ვართ, თვითონაც ამას ამბობს, ბატონი მელია, რასაც დაგვავალებს კანონი, ჩვენ იმას შევასრულებთ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ნიკა მელიასთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

– კანონიდან გამომდინარე, როგორც საჭირო იქნება, ისე მოიქცევა ყველა უწყება, ეს იქნება შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა თუ სხვა. მელია იქნება თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს.

კანონის წინაშე ყველა თანასწორი ვართ. თვითონაც ამას ამბობს ბატონი მელია და როგორც წესი და კანონი იქნება, რასაც დაგვავალებს კანონი, ჩვენ იმას შევასრულებთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

დავით ბაქრაძე: „ვიღებ პაუზას პარტიულ პოლიტიკაში“

– ჩემი აზრია, რომ განახლება არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ ლიდერების ნაწილს და ეს პასუხისმგებლობა ყველა ლიდერმა, ამ შემთხვევაში სამივე ლიდერმა უნდა აიღოს. ჩემი და გიგი უგულავას პოზიციები ემთხვევა, გიგა ბოკერიას კი საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა.

– არ მივდივარ ოპოზიციური ფლანგიდან, პარლამენტში შესვლას არ განვიხილავ, ძალაშია რიგგარეშე არჩევნებისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნა, თუმცა მაისიდან ვიღებ პაუზას პარტიულ პოლიტიკაში, მაგრამ ვრჩები ოპოზიციურ ფლანგზე. სახლში დისერტაცია მაქვს დასასრულებელი, მაქვს მიწვევები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა მე პოლიტიკიდან არ მივდივარ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაცმოძრაობის რამდენიმე ძველმა სახემ თავისი დრო მოჭამა“

ნიკა ჩიტაძე: „კითხვებს აჩენს, რატომ მოხდა უგულავა-სააკაშვილის შეხვედრა“

იაგო ნაცვლიშვილი

რა პროცესები მიმდინარეობს „ევროპულ საქართველოში“ და რა მოიგო ოპოზიციამ პარლამენტის ბოიკოტირებით? როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო მელიას საქმესთან დაკავშირებით და უნდა დაიჭიროს თუ არა ის? რატომ ფიქრობს, რომ ნაცმოძრაობის ზოგიერთმა წევრმა თავისი დრო მოჭამა და რამდენად შეუწყობს ხელს პარტიის გაჯანსაღებას ახალი სახეების გამოჩენა? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– თქვენი შეფასებით, რა ხდება „ევროპულ საქართველოში“ და რომლის პოზიცია უფრო მისაღები იყო, უგულავა-ბაქრაძის თუ ბოკერიასი?

– არ არის კარგი, როდესაც ასეთი პრობლემებია, რადგან ეს პარტია დაკომპლექტებულია ინტელექტუალი პოლიტიკოსებით და ასევე შეიძლება ითქვას ისიც, რომ ის არის მეორე ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის შემდეგ. ფაქტია, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა. პარტია მოითხოვს რეორგანიზაციას. ვიცით, რომ იქამდე ელენე ხოშტარიამ დატოვა პარტია.

რაც შეეხება პოზიციას, ორივე პოზიციას აქვს ლოგიკური ახსნა, მაგრამ პირადად ჩემთვის უფრო მისაღები ბოკერიას პოზიციაა და მე მგონია, რომ პარტიას სჭირდება გაძლიერება. ის, რომ ბაქრაძე აღარ იყრის კენჭს თავმჯდომარედ, არ გამორიცხავს იმას, რომ რიგით წევრად დარჩეს. მე მგონია, რომ სხვა მეთოდები უნდა გამოინახოს. პარტიას სჭირდება ლიდერები. ბოკერიას, ისევე, როგორც ბაქრაძესა და უგულავას, გააჩნია პოლიტიკაში მრავალწლიანი მოღვაწეობის გამოცდილება. შესაძლოა, მათ, მაგალითად, შექმნან ალიანსი „ლელოსთან“ და უფრო გაძლიერდება პარტია. გასაგებია, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსში ვერ შევლენ, რადგან თავის დროზე იქიდან წამოვიდნენ, თუმცა კითხვები არსებობს იმაზეც, რატომ მოხდა სააკაშვილისა და უგულავას შეხვედრა კიევში.

– ამაზე არსებობს ასეთი ინფორმაციაც, რომ ამ შეხვედრის გამო დაპირისპირება იყო უგულავასა და ბოკერიას შორის. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს და მთელმა ამ პროცესმა ხომ არ გამოაჩინა ის, რომ ყველაფერი ჯანსაღად ვერ იყო პარტიაში?

– დაპირისპირებას გიგი წერეთელიც არ მალავს, რომელმაც თქვა, რომ გარკვეული დაპირისპირება არსებობს, მაგრამ არა ისეთი, რომ საზოგადოების განხილვის ობიექტი იყოს. მაგრამ, არა მგონია, ეს უკავშირდებოდეს პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხს. არის სხვა ტიპის დაპირისპირება. შესაძლოა, პარტიის ნაწილი თვითლიკვიდაციის გამოცხადებას ფიქრობს, ნაწილი კი იმას, რომ ბრძოლაა საჭირო და სხვა სტრატეგია და ტაქტიკა უნდა იყოს.

– ჩერგოლეიშვილის ფაქტორიც ხომ არ არის?

– შესაძლებელია, მაგრამ ეს, არა მგონია, გადამწყვეტი იყოს. ალბათ ხედავენ, რომ დაეცა პარტიის რეიტინგი და იქიდან გამომდინარე, რომ პარტია არ შედის პარლამენტში, მაშინ რა ფუნქცია უნდა გააჩნდეს პარტიას. პლუს არის დაფინანსების საკითხი. ამ პარტიას მეტი ეკუთვნის, მაგრამ რეალობაა, რომ მისი რეიტინგი 5%-ს არ სცდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რაღაც უთანხმოება არსებობდეს.

– ეს ხომ არ უკავშირდება მათ საარჩევნო სტრატეგიასაც? მაგალითად, კამპანიის დროს ერთმანეთთან გააიგივეს მიშა და ბიძინა. ამან ხომ არ იმოქმედა პარტიაზე უარყოფითად და ესეც ხომ არ არის პარტიაში დაპირისპირების საფუძველი?

– შესაძლებელია, მაგრამ, არა მგონია, ამის გამო დაცემულიყო რეიტინგი. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ბაქრაძეს დაახლოებით 11% ჰქონდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ დროისთვის პარტიის რეიტინგი 10-11%-ის ფარგლებში მერყეობდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა „ლელო“, მან წაიღო „ევროპული საქართველოს“ ხმების ნაწილი. ეს არის ის ამომრჩეველი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი „ქართული ოცნების“ მიმართ, თუმცა მხარს არც ნაციონალურ მოძრაობას უჭერდნენ, მაგრამ, სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე „ლელო“ გამოჩნდებოდა, „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერები იყვნენ, ახლა კი ეს ხმები გაიყო „ლელოსა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის.

მაგრამ, თავად იმ კამპანიას, რომ არც ბიძინა და არც მიშა, ამას მე ვერ დავეთანხმები. არ შეიძლება სააკაშვილისა და ივანიშვილის ერთ ქვაბში მოხარშვა. აქედან გამომდინარე, შენ თუ ოპოზიცია ხარ, პირველ რიგში, ოპოზიციას ერთიანობა სჭირდება. „პატრიოტთა ალიანსისგან“ ასეთი კამპანია, რომ არც „ოცნება“ და არც ნაციონალები, მისაღები იქნებოდა, მაგრამ „ევროპული საქართველოსგან“ მისაღები არ არის. შესაძლოა, ამან რაღაც გავლენა იქონია და მცირე ნაწილმა აღარ მისცეს ხმა, მაგრამ, არა მგონია, ეს ყოფილიყო გადამწყვეტი.

– ვისაუბრეთ „ევროპულ საქართველოზე“ და შესაძლოა, ეს პროცესი პარლამენტში არშესვლამაც დააჩქარა. ვხედავთ, რომ სხვა პარტიებშიც არის რაღაც მიმდინარეობები და ფაქტია, რომ ოპოზიცია უფრო მეტად სუსტდება. რა მოუტანა ბოიკოტმა ოპოზიციას?

„მელიას არ დაიჭერენ, გარიგება მოხდება და განტევების ვაცი პროკურატურა და სასამართლო იქნება“

– ოპოზიციისთვის მთავარი უარყოფითი შედეგი ის არის, რომ საპარლამენტო ტრიბუნას ვერ იყენებენ და ვერ მიიღებენ მონაწილეობას საგამოძიებო კომისიაში, სადაც მინიმუმ 50% ოპოზიციის მიერ უნდა იყოს დაკომპლექტებული. მაგრამ დადებითია ის, რომ მათ დაამტკიცეს პრინციპულობა. ისინი უარს ამბობენ ხელფასებსა და სხვა სახის პრივილეგიებზე, რადგან მათთვის მთავარი პრინციპია და, რადგან არჩევნები გაყალბდა, იქ შესვლა არ შეიძლება. ოპოზიციის მხარდამჭერებში ამან გამოიწვია დადებითი რეაქცია, როგორი ოპოზიციაა, მაგრამ ამომრჩევლის მეორე ნაწილი მიიჩნევს, მე ხმა მივეცი ოპოზიციას, რომ ჩემი ინტერესები დაეცვა პარლამენტშიო. პარლამენტი მარტო საკანონმდებლო ორგანო კი არა, წარმომადგენლობითი ორგანოც არის და აქედან გამომდინარე მათ სურდათ წარმომადგენლის ყოლა პარლამენტში. ამას ცხადყოფს „ენდიაის“ სოციოლოგიური კვლევები, სადაც გამოჩნდა, რომ უმრავლესობას ოპოზიციის პარლამენტში ყოფნა სურს. მეც მსურს, მაგრამ ამისთვის კონკრეტული წინაპირობა უნდა არსებობდეს და მაშინ მართლა არ უნდა ყოფილიყო ამდენი დარღვევა.

– ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით ერთ მხარეს არის სამართალი და რატომ უნდა აპატიონ მელიას, თუ ის გირაოს არ იხდის, მაგრამ მეორე მხარეს არის ამ სამართლის პოლიტიკური კონტექსტი. როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო?

– სახელმწიფო რთულ მდგომარეობაშია. თუ არ დააკავებენ მელიას, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლება აჩვენებს საკუთარ სისუსტეს. მელია არ იხდის გირაოს თანხას და, თუ არ დააკავებენ, ეს ჩაითვლება ხელისუფლების სისუსტედ, მაგრამ, თუ დააკავებენ, მაშინ მოსახლეობის ნაწილი ამას პოლიტიკურ დევნად ჩათვლის. მაშინ რატომ არის, რომ მაგალითად ფარცხალაძე ცემის ფაქტზე სასამართლომ გაამართლა? აქედან გამომდინარე, ხელისუფლება რთულ მდგომარეობაშია, თუმცა ოპოზიციაც რთულ მდგომარეობაშია და თავად მელიაც. პროკურატურის მხრიდან დევნა პარტიას განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს, რადგანაც ყურადღება გადატანილია იმაზე, დააკავებენ თუ არა მელიას.

ოპოზიციაში რთული მდგომარეობაა, მაგრამ, ამასთანავე, კარგი პროცესი იყო ნაციონალურ მოძრაობაში ახალი სახეების წარმოდგენით. ძალიან კარგია, რომ მოხდა რეორგანიზაცია და ეს იყო იმის კომპენსირება, როდესაც პარტია დატოვა გრიგოლ ვაშაძემ, რაც დანაკლისი იყო. მოსახლეობისთვისაც მისაღები იქნება ახალი სახეები, რადგანაც ზოგიერთმა მოჭამა თავისი დრო პარტიულ საქმიანობაში.

– ხედავთ ასეთებს ნაციონალურ მოძრაობაში?

– 1-2-ს ვხედავ, მაგრამ მათ სახელებსა და გვარებს არ დავასახელებ. პირადადაც მქონია რამდენიმესთან შეხება და ახლა ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ, როდესაც ამის დრო დადგება, მერე ვიტყვი, მაგრამ, არა მგონია, იმ ადამიანებს დემოკრატიული შეხედულებები ჰქონდეთ.

– ინტრიგას ტოვებთ.

– არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ თითქოს ვიღაცის მიმართ პირადული წყენა მაქვს, თუმცა გეტყვით, რომ ეს ნამდვილად არ ეხება არც ნიკა მელიას, არც გიორგი ბარამიძესა და არც ხატია დეკანოიძეს. ახალი სისხლი ძალიან კარგია. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები უნდა გამოჩნდნენ, რომლებიც არ ჩანან. ბევრი ნიჭიერი ადამიანია და მათ შორის ჩემზეც, ბევრი იმსახურებს, რომ მაგალითად თქვენ და თქვენმა კოლეგებმა დაურეკოთ და ინტერვიუ მისგან აიღოთ.

– თქვენ არ გიფიქრიათ პოლიტიკაში წასვლაზე?

– არა, იმიტომ, რომ ძირითადად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი, პოლიტოლოგობა მირჩევნია.

– გირჩევნიათ, პროცესებს გარედან დააკვირდეთ?

– დიახ, გარედან, ოდნავ შიგნიდანაც კი. მე ვფიქრობ, რომ ჩემი წვლილი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობით შემაქვს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ოთარ კახიძე: „პოლიტიკისთვის დრო აღარ მაქვს, რადგან კომპანია დავაფუძნე“

„ევროპულ საქართველოში“ ვრჩები, ბოკერიას მხარეს ვარ“

იაგო ნაცვლიშვილი

„ევროპულ საქართველოში“ ხმაურიანი პროცესები დაიწყო. პარტიის ლიდერებს შორის მკვეთრი აზრთა სხვადასხვაობაა. ვრცელდება ინფორმაცია ლიდერების დაპირისპირებაზეც.

ფაქტია, რომ პარტიის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და გენერალური მდივანი გიგი უგულავა გაზაფხულზე პარტიის ყრილობის წინაშე საკუთარ თანამდებობებს აღარ წამოაყენებენ. პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგა ბოკერიას პოზიცია კი კარდინალურად განსხვავებულია. პარტია დატოვა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ კიდევ რამდენიმე ლიდერი დატოვებს „ევროპულ საქართველოს“.

რა ხდება „ევროპულ საქართველოში“ და რჩება თუ არა თავად პარტიაში? – ამ და სხვა საკითხებზე პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ოთარ კახიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– თქვენი გადაწყვეტილება როგორია, რჩებით „ევროპულ საქართველოში“?

– დიახ, ვრჩები პარტიაში.

– იყო გუნდში განსხვავებული პოზიციები. თქვენი პოზიცია საით იხრებოდა, ბაქრაძე-უგულავასკენ თუ ბოკერიასკენ?

– ბოკერიასკენ. ჩემთვის უფრო გასაგები იყო ეს პოზიცია, იმიტომ, რომ მისი ხედვაა ის, რომ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, იყრის თუ არა კენჭს რომელიმე პარტიულ თანამდებობაზე, მაგრამ მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხს გადაწყვეტს პარტია, როდესაც ყრილობაზე დელეგატები შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

– ბაქრაძის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო არასასურველ შედეგებზე?

– მე პატივს ვცემ ბაქრაძისა და უგულავას გადაწყვეტილებას. ეს მათი გადაწყვეტილებაა. მე დისკუსიის დროსაც დავასახელე ჩემი პოზიცია, რომ მიმაჩნდა, პარტიის ყრილობა უნდა ჩატარებულიყო გაზაფხულზე და ამის გაკეთება შეიძლებოდა წინასწარ დაანონსების გარეშე. თუ არ სურდათ პარტიულ თანამდებობებზე მუშაობა, ეს, უკეთესი იქნებოდა, მაშინ მომხდარიყო და

არა ახლა, თუმცა მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და სრულიად ლეგიტიმურია ის მიზეზები, რომლებსაც ისინი ასახელებენ, ანუ პასუხისმგებლობის აღება, განახლების ინტერესი და ა.შ. ჯანსაღი არგუმენტებია.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას პოზიციას, გიგა ამბობდა, რომ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და პარტიას მიანდობს ამ გადაწყვეტილების მიღებას. ასევე ჩემთვის მისაღები და სრულიად სოლიდური არგუმენტია, რომელსაც ვეთანხმები, ანუ მიმაჩნდა, რომ ჯობდა, ისინი დარჩენილიყვნენ, მაგრამ, რადგან წასვლა გადაწყვიტეს, ეს მათი არჩევანია, თუმცა გიგას პოზიცია, რომ დარჩეს და გააგრძელოს ამ პარტიაში მუშაობა, ჩემთვის უფრო მეტად არის მისაღები, იმიტომ, რომ გიგასთან საერთო ღირებულებები მაქვს და ვეთანხმები მის ხედვას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ნაწილში, ეკონომიკურ ხედვაში და ვთვლი, რომ მას შეუძლია, სერიოზული როლი შეასრულოს ამ პროცესში, მათ შორის ოპოზიციურ ფრონტზე და, რა თქმა უნდა, „ევროპულ საქართველოშიც“.

– არ იქნება დანაკლისი ბაქრაძე-უგულავას წასვლა?

– უდავოდ დანაკლისი იქნება პარტიისთვის, თუმცა, გიგა რომ წასულიყო, ეს კიდევ უფრო დიდი დანაკლისი იქნებოდა. ჩემი სურვილი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება არც იმ ორს მიეღო, მაგრამ, უარესი იქნებოდა, სამივეს რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო.

– გიგას დანაკლისი უარესი იქნებოდა, ვიდრე ბაქრაძე-უგულავასი?

– არა. ორის წასვლა ცუდია, მაგრამ, უფრო ცუდი იქნებოდა, სამივე რომ წასულიყო, ანუ გიგაც რომ წასულიყო, ის უარესი იქნებოდა-მეთქი.

– რა პროცესებს ელოდებით და რას გააკეთებთ იმისათვის, რომ „ევროპულმა საქართველომ“ შეინარჩუნოს ის ნიშა, რომელიც აქამდე ჰქონდა და როგორ შეავსებთ დღეს არსებულ დანაკლისს?

– ეს პარტია სოლიდურია საკმაოდ ბევრი ლიდერით, როგორც გამოცდილით, ასევე შედარებით ახალი ლიდერებით. მე ვფიქრობ, რომ ეს პარტია იპოვის თავის თავში იმ ძალას, რომ შესაბამისი განახლება მოხდეს, მოხდეს მისი შევსება და იქცეს მიზიდულობის ცენტრად. ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად და აქტიურად გააგრძელებს პარტია პოლიტიკურ ცხოვრებას.

– უკვე წასულ ლიდერებთან ითანამშრომლებთ?

– ცხადია. ჯერ ერთი, ლიდერები ჯერ არ წასულან. ისინი აპირებენ, რომ ყრილობის შემდეგ აღარ იყარონ კენჭი, მაგრამ, როგორც თავად განაცხადეს, არ აპირებენ პარტიის დატოვებას. ისინი იქნებიან პარტიის ნაწილი და ჩართული იქნებიან ყველა დისკუსიაში.

– ანუ პარტიაში რჩებიან, მაგრამ აღარ იქნებიან ლიდერშიპში?

– ეს მათ თავად განაცხადეს.

– მე ვერ გავიგე ზუსტად მათი განცხადებიდან, პარტიასაც ტოვებენ თუ არა. მათ თქვეს, ოპოზიციურ სპექტრში ვრჩებითო. ასეთი განმარტება გააკეთა ბაქრაძემ.

– ოპოზიციურ სპექტრში რჩებიან. ამავე დროს, არც პარტიიდან წასვლის შესახებ გაუკეთებიათ განცხადება. რაც შეეხება პარტიულ თანამდებობებს, ვადა ეწურებათ 2021 წლის მაისში და ხელახალი არჩევა უნდა მოხდეს პარტიის თავმჯდომარის, გენერალური მდივნის და პოლიტიკური მდივნის. ხელახალ არჩევნებზე აღარ აპირებენ თავიანთი კანდიდატურების დაყენებას.

– ასეთი ინფორმაციაც გაჩნდა მედიაში, რომ დაპირისპირება ჰქონდათ ბოკერიასა და უგულავას მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის გამო. იყო რაიმე მსგავსი?

– არ შეესაბამება სიმართლეს. ჩემი ინფორმაციით, არასწორია ეს.

– თავმჯდომარეობის კანდიდატები თუ გამოიკვეთა უკვე?

– არა, ამაზე საუბარი არ მიმდინარეობს. თანამდებობრივი თემები ამ ეტაპზე საერთოდ არ განიხილება.

– ბოლო პერიოდში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას ჩრდილში ხართ და აპირებთ გააქტიურებას, თუნდაც ამ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხებისას?

– რაც შემეხება მე, ვრჩები ამ პარტიის წევრად და გულშემატკივრად. ყველა დისკუსიაში ვიქნები ჩართული, რომლებიც პარტიის მომავალს ეხება. რაც შეეხება უშუალოდ პოლიტიკურ საქმიანობას, ამისთვის ნაკლები დრო მრჩება, ვინაიდან მე და ჩემმა მეგობარმა დავაფუძნეთ იურიდიული კომპანია, რომელიც შესთავაზებს საზოგადოებას, მათ შორის ბიზნესსაზოგადოებას თანამედროვე სერვისებს, იურიდიულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ მომსახურებას. ამას დავუთმობთ უფრო მეტ ყურადღებას. ამიტომ დრო არ მრჩება, რომ პოლიტიკაში აქტიურად ვიყო ჩართული. ეს განაპირობებს შედარებით ნაკლები დოზით გამოჩენას ტელეეკრანებზე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ქვეყნისთვის „გირჩი“ და ბანკირების პარტია „ლელო“ ანომალიაა“

სოსო შატბერაშვილი: „რესპუბლიკელები ნაციონალებს განუდგნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

პროკურატურა ნაციონალური მოძრაობის ლიდერ ნიკა მელიას გირაოს პატიმრობით უცვლის და შესაბამისი წინადადებით პარლამენტს მიმართავს. რა მოჰყვება ნიკა მელიას დაკავებას? რისთვის გახდა საჭირო საარჩევნო ბარიერის საკითხის კიდევ ერთხელ გააქტუალურება? რა პროცესებია პოლიტიკურ სპექტრში? — ამ თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– მზადდება ნაციონალური მოძრაობის ლიდერ ნიკა მელიას დაკავება. რა მოჰყვება ამას?

– თუ ნიკა მელიას დააკავებენ, ამით მას ავტორიტეტს აუწევენ. ნამდვილი პოლიტიკოსის დაპატიმრებით მისი რეიტინგი იზრდება. მსოფლიოში ბევრი ყოფილა ციხეგამოვლილი სახელიანი პოლიტიკოსი. ნიკა მელიას შემთხვევაშიც ასე იქნება. წამოვა კრიტიკული წერილები უცხოეთიდან. უგულავასა და ოქრუაშვილის მიმართ ჰქონდათ საზღვარგარეთ სოლიდარობა და მელიაზე არ ექნებათ?! არ ვიცი, აცნობიერებს თუ არა ამას ხელისუფლება.

– ისეთი განცდაა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთი გეგმით მოქმედებენ?

– ამას ვერ ვიტყვი. პოლიტიკური პროგნოზებიც უმადური საქმეა. ერთადერთი, რაც შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, ისაა, რომ ამ ხელისუფლებას ძალიან აწყობს ოპოზიციად ნაციონალური მოძრაობა. თუ ნაციონალური მოძრაობა იქნება მის პირისპირ, „ქართული ოცნება“ ისევ ბევრს ილაპარაკებს წინა ხელისუფლებაზე, მაგალითად, იმაზე, რომ დიქტატორი სააკაშვილი ხოცავდა და აწამებდა საკუთარ მოქალაქეებს; ის ჩაება საშიშ ავანტიურაში, წააგო ომი, გამოიქცა ბრძოლის ველიდან, საქართველოსთვის დახოცილი გმირების ცხედრები მტერს შეატოვა და ასე შემდეგ. სააკაშვილიც მაშინ უფრო გააქტიურდება ხოლმე შორიდან, როცა „ოცნებას“ უჭირს. სააკაშვილი დაიქოქება, დაიმუქრება და „ოცნებაც“ ხალხს ეუბნება, ამ დიქტატორის დაბრუნება თუ არ გინდათ, ჩვენი მომხრეები იყავითო.

– „ოცნებაც“ ხომ უფრო აქტუალურს ხდის ნაციონალურ მოძრაობას მაშინ, როცა ამ პარტიის აკრძალვას ან პარტიის ლიდერის დაკავებას აანონსებს?

– რასაკვირველია. ნიკა მელია პოლიტიკოსია და მის დაკავებას პოლიტიკური ხასიათი ექნება. უგულავას რომ პოლიტპატიმრად მოიხსენიებდნენ, ის კი გაუგებარია.

– ისიც ხომ პოლიტიკოსია?

– უგულავას ნამდვილად აქვს წაღებული ბიუჯეტიდან 48 მილიონი. მართალია, ამბობს, პარტიის აქტივს დავურიგეო, მაგრამ მშიერი ხალხისათვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?! საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გამოკვების პრობლემა უდგას და ამ დროს ხალხის ფულს ასე ანიავებენ. ეს ადამიანებზე ძალიან ცუდად მოქმედებს. არჩევნებზე უგულავამ ხალხის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ეს იყო რეალობის ასახვა. არ მესმის, თუ უნდა გამოეშვათ, რატომღა აკავებდნენ?! უგულავა არ არის პოლიტიკოსი. მისი დაკავებით ან გამოშვებით მისი რეიტინგი ვერ გაიზრდებოდა. უგულავას პოლიტიკა სულ არ აინტერესებს. საერთოდ, საქართველოს პოლიტიკას ზოგჯერ თავს აფარებენ თაღლითები და გამფლანგველები. მაგალითად მოვიყვან ნოღაიდელს.

– ყოფილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელზე საუბრობთ?

– დიახ. მან ბევრი ფული აკეთა. ამაზე სააკაშვილსაც აქვს ნათქვამი. თანამდებობიდან რომ გადადგა, ნოღაიდელმა მაშინვე პარტია დააფუძნა. ამ პარტიის არც ერთი აქტივობა არავის ახსოვს. ახლა მისი სახელიც არავის გაახსენდება. ეს იყო თავშესაფარი. პარტიას შეფარებულმა ნოღაიდელმა შექმნა სამშენებლო კომპანია, ბათუმში ააშენა ცათამბჯენები და დიდი მოგება ნახა. ხალხმა ასეთი შემთხვევები იცის და პოლიტიკოსებზე წარმოდგენა უფუჭდება. რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ ყველა პოლიტიკოსი მილიონერი, მძარცველი და მატყუარაა. საერთოდ, პატიოსან ხალხს პოლიტიკაში საქმიანობა გვიძნელდება.

– საარჩევნო ბარიერის დაწევა ასეთი პოლიტიკოსებისათვის სანუგეშო უნდა იყოს. ბარიერის საკითხი გარკვეული მიზეზების გამო ისევ დადგა დღის წესრიგში.

– ამჯერად საარჩევნო ბარიერი აღმოჩნდა კოზირი ხელისუფლების ხელში. მმართველმა პარტიამ ეს კოზირი შემოუგდო ოპოზიციას. საარჩევნო რეფორმის საბაბით პარლამენტში შევიდა ელისაშვილი. რესპუბლიკელებიც დაინტერესდნენ ნულოვანი ბარიერით.

– რესპუბლიკელები ერთჯერადად აპირებენ პარლამენტში შესვლას, უმრავლესობა კი ასეთ მომხმარებლურ მიდგომას აკრიტიკებს.

– ვინ იჯერებს, რომ რესპუბლიკური პარტიის დეპუტაცია ერთჯერადად შედის პარლამენტში?! განხილვა და კენჭისყრა ხანგრძლივი პროცესია. თანაც, რესპუბლიკელები გავიდნენ ნაციონალური მოძრაობის სიით. ნაცმოძრაობას სხვა ტაქტიკა აქვს. რესპუბლიკელები ნაციონალებს ისევე განუდგნენ, როგორც მანამდე ბევრჯერ მოქცეულან. თავის დროზე სხვის ხარჯზე გადეპუტატებულმა რესპუბლიკელებმა შევარდნაძესაც ზურგი აქციეს, სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც. ახლა ნაციონალურ მოძრაობას კიდევ ერთხელ ჩასცეს მახვილი.

– როგორც ფიქრობთ, საარჩევნო ზღურბლის დაწევა რეალურია? საკმარისი ხმები შეგროვდება?

– ვფიქრობ, რომ ბარიერს დასწევენ. ეს საკითხი ხელისუფლების კოზირია, რომლითაც მან ამ მიმართულებით ოპოზიციას ბრძოლა მოუგო. თავიდან პარლამენტში მარტო „ქართული ოცნება“ იყო. „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილი წარმომადგენლებისა (მათ სხვა პარტია შექმნეს) და ელისაშვილის „მოქალაქეების“ გარდა, პარლამენტში შევლენ ხვიჩიას „გირჩი“ და რესპუბლიკელები. ხელისუფლებას საკმარისი ხმებიც ექნება და პოლიტიკური უპირატესობაც.

– პარტიებში მიმდინარე გადაჯგუფებები ადრე ჩამოუყალიბებელი დემოკრატიით ახსნინთ. ამ მხრივ პროცესებმა მოლოდინს ხომ არ გადააჭარბა?

– ყველაზე თვალსაჩინოა „ევროპული საქართველოს“ დაშლა. ახლო წარსულს რომ გადავხედოთ, პარტიების დაშლა-დანაწევრება ახლა არ დაწყებულა. ირაკლი ალასანიას წასვლით ფაქტობრივად გაუქმდა მისი პარტია. პაატა ბურჭულაძესაც ბევრი გაჰყვა. ბურჭულაძემ თავისი ხმაურიანად დაფუძნებული ორგანიზაცია დაუტოვა მაჭუტაძეს. პარტიის ახალი თავმჯდომარეა ნიკა მელია. ის არ არის მიბმული სააკაშვილზე. მას აქვს მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ამავე დროს, მას პარტიაში ჰყავს მოწინააღმდეგეები. ოქრუაშვილის პარტიიდანაც წავიდა ხალხი. ბურჯანაძეს, თავის გარდა, პარტიაში ერთადერთი ცნობილი და წონიანი ფიგურა ჰყავდა – გენერალური მდივანი ბარამიძე და მანაც დატოვა ეს პარტია. ახლა დედა-შვილი დარჩნენ ორგანიზაციაში. არც ჩამოყალიბებულ და არც ჩამოუყალიბებელ დემოკრატიაში არ ხდება ის, რასაც ჩვენ ზოგიერთი პარტიის სახით ვუყურებთ.

– რას გულისხმობთ?

– როგორ შეიძლება, არსებობდეს ბანკირების პარტია! ასეთია „ლელო“. ამ ხალხს მესამე ძალაზე ჰქონდა პრეტენზია, იძახდა, მესამე პოლიტიკური ცენტრი ვართო. მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც ახლა „მემარცხენე ალიანსში“ ვართ, წინათ სხვა პარტიაში ვიყავით და 2002 წლიდან მოყოლებული ვიბრძვით იმისათვის, რომ ბანკებმა ხალხი არ ყვლიფონ. კრედიტების პროცენტების დაწევას წლებია მოვითხოვდით. პროცენტებმა რომ დაიწია, ამაში ჩვენი წვლილიცაა. ბანკირებმა 50.000 ხმა აიღეს არჩევნებზე. ეს უგუგებარია. ხალხი ბანკირების პარტიის მხარს არ უჭერს. ბანკირები პოლიტიკაში მოდიან საკუთარი ბინძური საქმიანობის დასაცავად და გასათეთრებლად. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ანომალიაა „გირჩი“, რომელიც უწევს პროპაგანდას ნარკოტიკებს, ქმნის თავის „რელიგიურ“ საზოგადოებას და ჯარიდან ათავისუფლებს ახალგაზრდებს. ეს პარტია ანგრევს ქართულ ჯარს, უსაფრთხოების სისტემას.

– მომავალში ცვლილებები მოხდება?

– იმედი მაქვს, რომ მომავალი ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნები უფრო თანასწორ გარემოში გაიმართება და აღარ მოხდება პიროვნებების გაფეტიშება. წინათ შევარდნაძეც გაფეტიშებული იყო. მას უჩოქებდნენ. 2003 წელს სააკაშვილი რომ მოდიოდა, გარემოვაჭრეებთან ვთქვი, არ ენდოთ, თაღლითია-მეთქი. მემწვანილე ქალებმა მე დამწყევლეს, სააკაშვილი კი მკრეხელურად შეადარეს თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგის. ქართულ პოლიტიკაში პიროვნების კულტი უნდა დამთავრდეს. დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა. ხალხმა უნდა აირჩიოს პარლამენტი, რომელიც დააკომპლექტებს მთავრობას.

„მელიას დაკავება „ოცნებას“ ძვირად დაუჯდება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „პარლამენტი ივანიშვილის პირად ბოსლად გადაიქცა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ხელისუფლება რამდენად წავა ნიკა მელიას დაკავებაზე და რამდენად შესაძლებელია, ეს გახდეს ახალი პროტესტის საფუძველი?

– ბიძინა ივანიშვილს თუ კეთილგონიერების ნატამალი მაინც შერჩენია, ამ ხელისუფლებამ არ უნდა დააკავოს ნიკა მელია. ეს იქნება პირდაპირ პოლიტიკური აქტი, რომელსაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მიმართ განახორციელებს ხელისუფლება. ეს ძალიან ძვირად დაუჯდება ნებისმიერ ხელისუფლებას ნებისმიერ ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, ეს ძვირად დაუჯდება ამ ქვეყანაშიც თავად ბიძინა ივანიშვილს.

მელიას დაკავების არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ არსებობს და ეს იცის ყველამ. თუ მელია დააკავეს, მაშინ ეს იქნება გავრილოვის ღამის დანაშაულის გაგრძელება ხელისუფლების მხრიდან. ყველამ იცის, რომ დანაშაულის ჩამდენი არც ერთი პოლიციელი არ არის დასჯილი. არადა, ყველამ იცის, რომ დანაშაული ჩადენილია. უკანონო ბრძანება შეასრულეს, მშვიდობიან მოქალაქეებს ტყვია ესროლეს და თვალები დასთხარეს, ჯანმრთელობა შეურყიეს, მაგრამ ამ დანაშაულისთვის არავინ უნდა დაისაჯოს, რადგან „ყველა“ თანასწორია კანონის წინაშე. ნიკა მელია კი რაღაც ჟესტის გამო უნდა დააკავონ.

– ფიქრობთ, დააკავებენ?

– კუნთებისა და ნერვების თამაშია. პარლამენტი ალბათ შეუწყვეტს უფლებამოსილებას, მაგრამ, რბილად რომ ვთქვა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. საკუთარი განცხადების საფუძველზე არ შეუწყვიტეს 50-ზე მეტ დეპუტატს, მათ შორის მელიას უფლებამოსილება და ახლა რა გამოდის?!

თუმცა ივანიშვილსა და ამ ხელისუფლებას ოდნავი ჭკუა რომ ჰქონდეთ, პირადი მოტივებიდან გამომდინარეც არ უნდა აწყობდეთ მელიას დაკავება.

– რატომ?

– რადგან ეს გახდება კატალიზატორი ახალი პოლიტიკური პროცესებისა. ნიკა მელიას დაკავებას საპროტესტო გამოსვლების დამაჩქარებელი ფუნქცია ექნება. შეიძლება, ამას ვერც აცნობიერებენ.

სიმართლე გითხრათ, საპროტესტო გამოსვლების გარეშე ამ ქვეყნის მომავალი არ მესახება. გაზაფხულიდან გამოსვლები უნდა დაიწყოს, რადგან სხვა ვერანაირი ძალა ვერ აიძულებს „ქართულ ოცნებას“, რომ ვადამდელი, თავისუფალი არჩევნები დანიშნოს. ქუჩის გამოსვლები, პროტესტი ნებისმიერ შემთხვევაში იქნება, მაგრამ მისი მასშტაბის, მისი სიმწვავის, მისი დაწყების დროის განმსაზღვრელიც კი გახდება მელიას დაკავების ფაქტი, რადგან ეს იქნება დიქტატურის დამყარების პირდაპირი სიგნალი ქვეყანაში.

– „ოცნების“ დეპუტატი შალვა პაპუაშვილი აცხადებს, რომ პარლამენტი ნიკა მელიას იმუნიტეტს მოუხსნის და უფლებამოსილებას შეუწყვეტს. როგორ ფიქრობთ, სხვებსაც უნდა შეუწყდეთ, ვისაც განაცხადი აქვთ გაკეთებული?

– ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ აქტთან, პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან და მას არავითარი საერთო არ აქვს სამართალთან და სამართლებრივ ქმედებასთან, კანონის უზენაესობასთან, როგორც ისინი გვეუბნებიან. ნიკა მელია სხვა 50 დეპუტატთან ერთად მოითხოვდა უფლებამოსილების შეჩერებას. სად იყვნენ მაშინ?! ახლა ამას დიდი სიამოვნებით გააკეთებენ, რადგან ასე დასჭირდათ. სად არის აქ კანონის უზენაესობა?! რა გამოდის, რომ ამ ქვეყანაში კანონი არის ტუალეტის ქაღალდი და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, ამ რეალობაში ვცხოვრობთ, როდესაც პარლამენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ივანიშვილის პირად ბოსლად იქცა.

როდესაც ქვეყანაში შვიდი მილიარდი გაქრა, პირდაპირ შეჭამეს, როდესაც კორუფცია ყველა მიმართულებით ყვავის, როდესაც ვაქცინაციას საშველი არ დაადგა და პირდაპირ გვატყუებენ, როდესაც საშიმშილოდ გაწირეს ადამიანები და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დატოვეს, როდესაც ადამიანები ყოველდღე იღუპებიან, ესენი გველაპარაკებიან კანონის უზენაესობაზე?! ან რომელი უზენაესობა იქნება ეს. ეს იქნება პირდაპირ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასკუპებული გავრილოვის მმართველობის გაგრძელება.

„ნაცმოძრაობის რამდენიმე ძველმა სახემ თავისი დრო მოჭამა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– სალომე ზურაბიშვილს თუ დავესესხებით და ამ კონტექსტს მოვარგებთ, პოლიტიკოსებთან ხართ, ოღონდ მათზე მაღლა ხართ ან დაბლა?

– არა, რიგითი წევრი ვარ და ნამდვილად არავისზე მაღლა არ ვდგავარ. შესაძლოა, მაღლა ვიდგეთ მეც და თქვენც მასზე, ვინც თავის საქმეში პროფესიონალი არ არის. ჩვენთან არასწორი მიდგომაა და არსებობს პრესტიჟული და არაპრესტიჟული სფეროები. მე კი მგონია, რომ არაპრესტიჟული უნდა იყოს ის, თუ შენი საქმის პროფესიონალი არ ხარ. ვიცი პროფესორები, რომლებიც ლექციების ნახევარზე მეტს უცდენენ სტუდენტებს და იმან რა უნდა ასწავლოს მათ?! მე მათზე წინ კვალიფიციურ მუშას დავაყენებდი, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით ქმნის მატერიალურ დოვლათს. აქედან გამომდინარე, მე არც მაღლა ვდგავარ და არც დაბლა, რიგითი წევრი ვარ.

– მელიას თემას დავუბრუნდეთ. ამ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო?

– არ უნდა დააკავონ. ვიცით, რომ პროკურატურა პოლიტიკურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და ვერ ვიტყვით, რომ პროკურატურა ან სასამართლო სისტემა თავისუფალია. ალბათ ფარული გარიგება უნდა მოხდეს, ვითომ სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ არ დააკავონ, რაზეც ხელისუფლება იტყვის, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. რომ დააკავონ, მაშინ ხელისუფლების მიმართ გაჩნდება მოსაზრებები, რომ მელია პოლიტიკური დევნის გამო დააკავეს, ხოლო რომ არ დააკავონ, მაშინ სისუსტედ ჩაეთვლება. ამიტომ განტევების ვაცი გახდება პროკურატურა და სასამართლო. პროკურატურა არ მიმართავს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიებით და სასამართლოც გაითვალისწინებს ამას.

ვხედავთ, რამხელა აჟიოტაჟია გიორგი რურუას დაკავებაზე და ახლა პოლიტიკური პარტიის ლიდერი, თანაც მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი რომ დააკავონ, ეს უფრო მეტ აჟიოტაჟს გამოიწვევს, რაც არ აწყობს ხელისუფლებას. უგულავა და ოქრუაშვილი რომ შეიწყალა პრეზიდენტმა, მაშინაც ვამბობდი თქვენთან ინტერვიუში, რომ პრეზიდენტი შეიწყალებს, ვითომ მისი გადაწყვეტილება იყო ეს და ასეც მოხდა.

– რაც თქვით პროკურატურასა და სასამართლოს შესახებ, გგონიათ, რომ ასე უნდა მოიქცეს ხელისუფლება და ეს არის სწორი თუ ეს არის თქვენი პროგნოზი, რომ ასე მოიქცევა ხელისუფლება?

– მე მგონია, რომ ფარული გარიგება მოხდება, რომ არ დააკავონ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ მე ასე მგონია. მეორე ვარიანტია, რომ დააკავონ და მერე ისევ პრეზიდენტმა შეიწყალოს, როგორც ეს უგულავა-ოქრუაშვილთან მიმართებით მოხდა. ზოგადად, მელია მებრძოლი და პრინციპული ადამიანია და ახალი სახეები წარუდგინა საზოგადოებას, იგივე ანა გოგოლაძე, რომელიც ჯერ ჩემი სტუდენტი იყო, მერე კი – კოლეგა. ახალი სახეების წარდგენა ვაჟკაცური ნაბიჯი იყო მისი მხრიდან. შესაძლოა, ძველებს არ მოეწონოთ, მაგრამ ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო და ახალი თაობის წარმომადგენლებს წარმატებებს ვუსურვებ.

„სიკვდილის წინა დღეს ბედნიერი იყო, თურქეთში უნდა წამეყვანა“

რა გახდა 14 წლის ნინი ცეცხლაძის გარდაცვალების მიზეზი

ქობულეთის სოფელ ქაქუთში გარდაცვლილი 14 წლის ნინი ცეცხლაძის დედა აცხადებს, რომ 23 წლის მამაკაცმა არასრულწლოვანი პირველად ზაფხულში გააუპატიურა, თუმცა ძალადობის შესახებ ოჯახის წევრებმა დეკემბერში გაიგეს, როდესაც ძალადობა მეორედ მოხდა.

მერი რომანაძე თურქეთში სამუშაოდ იმყოფებოდა და საქართველოში შვილის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა. როგორც ის აცხადებს, არასრულწლოვანზე მეორედ ძალადობის შემდეგ შეატყობინეს პოლიციას.

– მისი დედ-მამა ტყუილად აფარებს ხელს. სანამ ბავშვი დაიღუპებოდა, წინა დღით მელაპარაკა, ვამზადებდი საბუთებს, რომ თურქეთში წამეყვანა, ბედნიერი იყო ბავშვი, შენთან წამოვალ და ერთად ვიქნებითო, უხაროდა, მაგრამ მეორე დღეს რა მოხდა, ეს რატომ გააკეთა, არ ვიცი, – ამბობს მერი რომანაძე.

ამასთან, გოგონას დედა გამოეხმაურა მეზობლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მას შემდეგ, რაც ოჯახში ძალადობის შესახებ გაიგეს, არასრულწლოვანს სახლში სცემდნენ.

– ექსპერტიზას უთქვამს, ზურგი, ფეხები, სულ ყველაფერი დაშავებული ჰქონდა ბავშვს ცემისგან. მერე წაიყვანეს პოლიციაში და მანქანაში ემუქრებოდნენ თურმე ნათესავები, არაფერი თქვა ჩვენზე, თორემ მოგკლავთო. ეს ყველაფერი მე ბავშვმა მომიყვა თვითონ, – ამბობს „ტვ 25“-თან საუბარში გარდაცვლილი ნინი ცეცხლაძის დედა.

გოგონას მიერ გაკეთებული ჩანაწერები, დღიურის სახით, უკვე ამოღებულია.

– ჯერჯერობით ამოწმებენ, ისეთი ცუდი არაფერი არ წერიაო, ასე მითხრეს. მე სულ ბოლოს ჩემმა გოგომ მითხრა, დღიური მაქვსო. ჩემი შვილი რაღაცნაირად გულჩათხრობილი გოგო იყო, მე ვარ შაქრით დაავადებული ადამიანი და ალბათ სულ ცდილობდა, რომ დედას გული არ ვატკინოო. სულ ვეუბნებოდი, რომ ჭკვიანად იყავი, ხომ იცი, რომ მე შორს ვარ, ვერაფერს ვერ ვაკეთებ აქედან. ნუ მანერვიულებ, გთხოვ-თქო, ვეუბნებოდი. ასე ვარიგებდი მე ყოველთვის და ამის გამო ალბათ მე არაფერი არ მითხრა. მარტო მე კი არა, საერთოდ არავის არაფერი არ უთხრა.

მე ასე ვიცი, რომ ფეისბუქზე ჰქონდა მიწერ-მოწერა, ეს ვიცი მარტო, მეტი არაფერი არ ვიცი. ფეისბუქიდან გაუცნიათ ერთმანეთი, – ამბობს მერი რომანაძე.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება ჩვენება, რომელიც ნინი ცეცხლაძემ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისცა.

დაკითხვის დროს გამოძიება გოგონას სხეულზე არსებული დაზიანებებით დაინტერესდა, რაზეც მან უპასუხა:

„აღნიშნული დაზიანება მივიღე ჩემს საცხოვრებელ სახლში, მე შემთხვევით შევეჯახე კედელს. სწორედ აღნიშნულით არის გამოწვეული დაზიანება. განგიმარტავთ, რომ აღნიშნული დაზიანება მიღებულია ნ.ტ-სთან სქესობრივი კავშირის დამყარებამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ 2020 წლის დეკემბრის თვეში, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს“, – წერს გოგონა ჩვენებაში.

23 წლის ნიკა ტაკიძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით დაკავებული ნიკა ტაკიძის ადვოკატი კი ამბობს, რომ ოჯახის წევრების ზეწოლით გოგონამ დაზიანებების რეალური მიზეზი დამალა.

– თქვენ ალბათ გახსოვთ დედის კომენტარი, როცა ამბობს, რომ ბავშვი ბიძებმა უმოწყალოდ სცემეს და მოკვლით დაემუქრნენ, რომ პოლიციაში არაფერი ეთქვა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ ამბობს, რომ სახლში კედელს მიეჯახა. აღნიშნული დაზიანებების მიღება, შემთხვევით კედელზე შეჯახებით გამორიცხულია, – ამბობს ადვოკატი.

რაც შეეხება ბრალდებულთან ურთიერთობას, ნინი ცეცხლაძე ჩვენებაში ყვება, რომ მათ ურთიერთობა ნებაყოფლობით ჰქონდათ, ვინაიდან იმედოვნებდა, რომ ნიკა ტაკიძე ცოლად მოიყვანდა.

„აღნიშნული მოხდა ორივეს ნებით და თანხმობით. ნ.ტ-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობას, მუქარას ან რაიმე სახის იძულებას. იმედი მქონდა, რომ ის ცოლად შემირთავდა“, – ყვება ჩვენებაში 14 წლის გოგონა.

„შაბათის მთავარის“ ინფორმაციით, ნინი ცეცხლაძის ოჯახმა ექსპერტიზის დასკვნა მიიღო. ექსპერტიზა ადასტურებს, რომ მოზარდი სასტიკად იყო ნაცემი. ახლა უნდა დადგინდეს, ვინ იძალადა ფიზიკურად ნინიზე – 23 წლის ნიკა ტაკიძემ, რომელსაც ოჯახი გაუპატიურებაში სდებს ბრალს თუ ნათესავებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ არასრულწლოვანი ასე უნდა დაესაჯათ.

მერი რომანაძე ითხოვს, რომ პასუხისგებაში, ნიკა ტაკიძის გარდა, არასრულწლოვნის ბაბუა და ბიძაც მიეცნენ.

ის ჯერ ვერაფერს ამტკიცებს, თუმცა ფიქრობს, რომ მისმა შვილმა თავი არ მოიკლა და ის ბაბუას შემოაკვდა, რადგან მისი მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა.

* * *

პროკურატურამ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომხდარი თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეველთან სექსუალური კავშირის დამყარებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე ნიკა ტაკიძეს ბრალდება წარუდგინა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ტ.-მ მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ნ.ც. თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეველი იყო, 2020 წლის ივნისში და დეკემბერში, მოტყუებით, იმ პირობით, რომ მომავალში ცოლად შეირთავდა, სექსუალური კავშირი დაამყარა, რის შემდეგაც მასთან გაწყვიტა კონტაქტი. მოგვიანებით კი გოგონას განუცხადა, რომ მასზე დაქორწინებას არ აპირებდა. აღნიშნულით დაამცირა მისი ღირსება. ნ.ც.-მ, 2021 წლის 09 თებერვალს თვითმკვლელობა ჩაიდინა.

სამართალდამცავებმა ნ.ტ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2021 წლის 10 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით (სრულწლოვანის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველის სხეულში, (ორი ეპიზოდი)) და 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 12 თებერვალს ნიკა ტაკიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე დავით მამისეიშვილმა მიიღო. მომდევნო სხდომა 6 აპრილს გაიმართება.

დაკავებულის ახლობლები ძალადობაში გოგონას ოჯახის წევრებს ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ სიმართლის დასამტკიცებლად იბრძოლებენ.

– ჩვენ არ ვეთანხმებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მას აუცილებლად გავასაჩივრებთ. არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

არ არსებობდა პატიმრობის გამოყენების არანაირი არც ფაქტობრივი და არც ფორმალური საფუძველი. რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, როცა გამოძიება დაიწყო, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თანამშრომლობდა საგამოძიებო ორგანოებთან. როცა ბავშვი გარდაიცვალა, მისი დაკავება მოხდა სახლში, არსად არ იმალებოდა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მტკიცებულებებს ვერ გაანადგურებდა, ვერც ზეწოლას მოახდენდა მოწმეებზე. მიგვაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული და გავასაჩივრებთ, – განაცხადა ადვოკატმა ირაკლი შავაძემ.

პოლიციამ მარნეულში მომხდარი ქურდობის ფაქტები გახსნა

დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ი.ჯ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს, ქალაქ მარნეულში, მოქალაქე ა.ს.-ის საცხოვრებელი სახლის ეზოდან სხვადასხვა სახის ჭურჭელი და ლითონის ნივთები მოიპარა. ასევე დადგენილია, რომ ი.ჯ.-მ ამავე სახლის ტერიტორიაზე ქურდობის ფაქტები 7 და 9 თებერვალსაც ჩაიდინა. გარდა ამისა, ირკვევა, რომ დაკავებულმა თებერვლის თვეში მარნეულში კიდევ სამი მოქალაქე გაქურდა, კერძოდ, ფ.ბ.-ს სამოვარი და ელექტროხელსაწყოები მოჰპარა, ბ.მ.-ის ავტოფარეხიდან ასევე ელექტროხელსაწყოები, ხოლო რ.ს.-ის სახლის ეზოდან ელექტროხელსაწყო და სპილენძის სადენი მოიპარა.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ქურდობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

გომელაური: „14 წლის გოგონას გარდაცვალება ძალიან მძიმე ფაქტია. რაც კანონმა მოგვცა უფლება, ყველაფერი გავაკეთეთ“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარდაცვლილი 14 წლის არასრულწლოვნის ფაქტთან დაკავშირებით ბათუმში მედიის მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ ისაუბრა.

გომელაურის განცხადებით, კანონის ფარგლებში გამოძიებამ ყველა შესაბამისი ღონისძიება გაატარა.

– ძალიან მძიმე ფაქტია, როდესაც ახალგაზრდა ადამიანი, ბავშვი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს. პირველ რიგში სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს.

რაც შეეხება გამოძიებას, ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კანონმა მოგვცა უფლება, შესაძლებლობა, ჩაგვეტარებინა საგამოძიებო მოქმედებები, გამოკითხვები ყველაფერი გავაკეთეთ.

თუ ვინმეს აქვს რამე კითხვები გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ეს იქნება ოჯახი თუ სხვა, შეუძლიათ მოიძიონ და ნახონ, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და როგორც გაკეთდა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

სუსმა მე-4 პოლიკლინიკის დირექტორი და კიდევ 3 ექიმი პასუხისგებაში მისცა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 11 თებერვალს, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს კერძო სამედიცინო კლინიკების 4 ექიმი.

გამოძიებით დგინდება, რომ შპს „მე-4 პოლიკლინიკის“ დირექტორი, შპს „მე-4 სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი, ამავე სამედიცინო დაწესებულების ექიმი და შპს „ოჯახის მკურნალის“ ექიმი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, საქართველოდან გაძევების გადავადების მიზნით, 250-დან 500 ლარამდე თანხის სანაცვლოდ, ამზადებდნენ და ასაღებდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყალბ ცნობებს, სადაც დაფიქსირებული იყო არარეალური დიაგნოზი.

გამოძიება ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველი ბათუმში საპატიო ყარაულის თანხლებით დაკრძალეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი, 25 წლის თორნიკე კიპაროიძე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ხანძრის ქრობის დროს ტრაგიკულად დაიღუპა, ბათუმის საკათედრო ტაძრიდან საპატიო ყარაულის თანხლებით გაასვენეს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველის ოჯახს, თანამშრომლებსა და ახლობლებს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, სამძიმარი პირადად გამოუცხადა.

„პირველ რიგში, მინდა, ოჯახს მივუსამძიმრო. მართლა ძალიან კარგი ვაჟკაცი, ადამიანი გამოაკლდა ოჯახს, ჩვენს სამსახურს, სამშობლოს.

ნამდვილად გმირები არიან ეს ადამიანები, ვინც აქ დგანან, ხედავთ, ყოველი ადამიანი სიცოცხლეს სწირავს, თითოეული ჩვენი მოქალაქის გადასარჩენად. ერთი ეს შემთხვევაც იყო სამწუხაროდ. ეს ადამიანი გამოგვაკლდა, მართლა კარგი ადამიანი, კარგი შვილი, კარგი მეუღლე.

ვუსამძიმრებთ კიდევ ერთხელ ოჯახს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად, გმირი მეხანძრე-მაშველისთვის პატივის მისაგებად ბათუმში იმყოფებოდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, მისი მოადგილე ლევან ღირსიაშვილი და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსი დავით სუხიშვილი. გარდაცვლილი უკანასკნელ გზაზე სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულმა მეხანძრე-მაშველებმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გააცილეს.

თორნიკე კიპაროიძე სამხედრო პატივით დაიკრძალა. საპატიო ყარაულმა მის ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, გარდაცვლილის ოჯახს კი საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

თორნიკე კიპაროიძე 11 თებერვალს გამოძახებაზე იმყოფებოდა, როდესაც სახანძრო კიბიდან ჩამოვარდა. მედიკოსების ჩარევის მიუხედავად, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა მეხანძრე-მაშველი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამორჩეული სიმამაცით მუშაობდა. 2014-2018 წლებში ის თავდაცვის ძალებში მსახურობდა. 2017-2018 წლებში მონაწილეობა მიიღო ავღანეთის სამშვიდობო მისიაში.

თორნიკე კიპაროიძე დაჯილდოებულია მედლით „სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის“. მას მეუღლე და ერთი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსან ირაკლი ხურციძეს თავს დაესხნენ

პოლიციამ თორნიკე ვაჩაძე დააკავა

შემოსავლების სამსახურის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსს, ირაკლი ხურციძეს, თავს დაესხნენ. მას სახის არეში დაზიანებები აღენიშნება.

ხურციძე მისმა ყოფილმა თანამშრომელმა, თორნიკე ვაჩაძემ სცემა, რომელიც სამსახურიდან დაახლოებით ერთი თვის წინ გაათავისუფლეს.

ნაცემი მაღალჩინოსნის ფოტო თავდამსხმელმა სოციალურ ქსელში თავადვე გამოაქვეყნა, თუმცა მალევე წაშალა.

ფიზიკურად გაუსწორდნენ შემოსავლების სამსახურის კიდევ ერთ თანამშრომელს, გიორგი კოპალიანს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული თორნიკე ვაჩაძე ძალადობის, მუქარისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თორნიკე ვაჩაძემ მიმდინარე წლის 12 თებერვალს, სამსახურებრივი უთანხმოების გამო, თავის ყოფილ თანამშრომელ ქალს, 1994 წელს დაბადებულ ნ.ე.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ასევე, ბრალდებულმა ყოფილ თანამშრომლებს – 1984 წელს დაბადებულ ირაკლი ხურციძესა და 1990 წელს დაბადებულ გ.კ.-ს სხეულზე მრავლობითი დაზიანება მიაყენა.

სამართალდამცველებმა თ.ვ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე, 126-ე და 151-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას, ძალადობასა და მუქარას გულისხმობს.

აშშ-ის სენატმა ტრამპს იმპიჩმენტი არ გამოუცხადა

მას 10 ხმა დააკლდა

აშშ-ის სენატმა ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში წაყენებულ ბრალდებაში გაამართლა. ყოფილი პრეზიდენტის უდანაშაულოდ ცნობას 43-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, დამნაშავედ კი 57-მა სენატორმა ცნო.

იმპიჩმენტის ფარგლებში დონალდ ტრამპის გასამართლებას აშშ-ის სენატის წევრთა 2/3-ის ხმა სჭირდებოდა – 100 სენატორიდან 67 სენატორის ხმა. შესაბამისად, იმპიჩმენტის გამოცხადებას 10 ხმა დააკლდა.

11 იანვარს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის რეზოლუციის ტექსტი გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, დონალდ ტრამპს ბრალად ამბოხის წაქეზება ედებოდა. 14 იანვარს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა.

დონალდ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელსაც იმპიჩმენტი ორჯერ გამოუცხადეს.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 18 დეკემბერს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი პირველად გამოუცხადა, ხოლო შემდეგ აშშ-ის სენატმა დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში წაყენებულ ორივე ბრალდებაში გაამართლა. 2019 წელს კონგრესმენებმა დონალდ ტრამპს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და კონგრესის მუშაობისთვის ხელის შეშლა დასდეს.

6 იანვარს ვაშინგტონში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც დონალდ ტრამპის მხარდამჭერები კაპიტოლიუმის შენობაში შეიჭრნენ, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ამტკიცებდნენ. დემონსტრანტები ჯო ბაიდენის გამარჯვებას აპროტესტებდნენ.

შენობიდან კონგრესმენთა ევაკუაცია განხორციელდა. არეულობის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. ვითარების კონტროლქვეშ აყვანას რამდენიმე საათი დასჭირდა, რის შემდეგაც კონგრესმა მუშაობა განაახლა და ჯო ბაიდენის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა დაამტკიცა.

მარიო დრაგი იტალიის ახალი პრემიერი გახდა

ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილ ხელმძღვანელი მარიო დრაგი იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტს დასთანხმდა და ახალი მთავრობის შემადგენლობა გამოაცხადა.

„პრეზიდენტი სერჯიო მატარელა პროფესორ მარიო დრაგის შეხვდა, რომელმაც თანხმობა განაცხადა, უხელმძღვანელოს მთავრობას, რომლის შემადგენლობაც მან პრეზიდენტს წარუდგინა“, – ნათქვამია იტალიის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

მანამდე მარიო დრაგიმ იტალიის პარლამენტში წარმოდგენილ წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციები გამართა და მათი მხარდაჭერა მიიღო.

13 თებერვალს მარიო დრაგი იტალიის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად შეუდგა.

ჯუზეპე კონტეს მთავრობაში შემავალმა ზოგიერთმა მინისტრმა თანამდებობა შეინარჩუნა. კერძოდ, მარიო დრაგის მთავრობაში რჩებიან საგარეო საქმეთა მინისტრი ლუიჯი დი მაიო, შს მინისტრი ლუჩანა ლამორჯეზე, ჯანდაცვის მინისტრი რობერტო სპერანცა, კულტურის მინისტრი დარიო ფრანჩესკინი და თავდაცვის მინისტრი ლორენცო გუერინი.

ბაიდენს გუანტანამოს ციხის გაუქმება სურს

პრეზიდენტ ბაიდენს გუანტანამოს ციხის გაუქმება სურს.

ბაიდენი შეეცდება, ციხე თავისი პირველი საპრეზიდენტო ვადის გასვლის ბოლოსათვის გააუქმოს.

გუანტანამოს ციხეში განსაკუთრებით საშიშ ტერორისტებს ამწყვდევდნენ. იქ მათ დაკითხვას ცსს-ს სპეციალისტები უტარებდნენ.

ლუკაშენკომ გადადგომის პირობები წამოაყენა

ალექსანდრე ლუკაშენკომ სრულიად ბელარუსის სახალხო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა.

მან განაცხადა, რომ შესაძლოა, მალე გადადგეს.

– ჩემი პირობები შემდეგია: საპროტესტო აქციები უნდა შეწყდეს და ჩემს არც ერთ მომხრეს თმის ღერიც არ უნდა ჩამოუვარდეს, – თქვა მან.

დარბაზში მყოფმა ზოგიერთმა დელეგატმა რუსეთის დროშა ააფრიალა. არც ლუკაშენკოს, არც ვინმე სხვას ამაზე რეაგირება არ ჰქონია.

იაპონიაში 7.3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

13 თებერვალს იაპონიაში 7.3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, ფუკუშიმასა და მიაგის პროვინციაში, მიწისძვრის შედეგად 124 ადამიანი დაშავდა.

დაზარალებულების უმეტესობას ძირითადად მსუბუქი დაზიანებები აღენიშნება.

იაპონიის პრემიერ-მინისტრ ოიშიჰიდე სუგას თქმით, მიწისძვრის შედეგად ატომური ობიექტი არ დაზიანებულა.

მისი თქმით, მიწისძვრას, შესაძლოა, განმეორებითი ბიძგები მოჰყვეს, რის გამოც მან მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსთავი ქუთაისის წაგებით სარგებლობს

რუსთავი-ვერა 79:53
(25:15, 22:13, 16:17, 16:8)

რუსთავის გუნდი ამ ტურამდეც ლიდერი იყო და ვერელებთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ პირველი ადგილი უფრო გაიმყარა. მართალია, ქულებით ქუთაისთან თანაბრადაა, თუმცა ქვემოქართლელებს კონკურენტზე 2-ით ნაკლები წაგება აქვთ და დაკარგული ქულებით სუპერლიგას დამაჯერებლად ლიდერობენ. ანატოლი ბოისას გუნდმა ვერას ზედმეტი გართულების გარეშე, დამაჯერებელი სხვაობით – 79:53 მოუგო.

რუსთაველებმა ლიდერობა თანაბარი სადებიუტო წუთების შემდეგ მოიპოვეს და პირველი პერიოდის ბოლოს უკვე 10 ქულას იგებდნენ – 25:15. მასპინძლები ყველა რგოლში ჯაბნიდნენ მეტოქეს. უკანა ხაზში 2 აფრო-ამერიკელი გამთამაშებელი – მაიკ დევისი და მალიქ უაითი ვერელ ოპონენტებს დაცვაში მოსვენებას არ აძლევდნენ. ფარქვეშ კი გეგი ბაქრაძე იყო გამაგრებული და ქულებსაც უხვად იხვეჭდა და დაცვაშიც მყარად იდგა.

მე-2 მეოთხედში ქვემოქართლელებმა კიდევ უფრო გაილაღეს და უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდეს. ლევან ფაცაცია ბევრს ცდილობდა საკუთარი კალათბურთელების მომართვას და წუთშესვენებებზე მათ დავალებებსაც აძლევდა, მაგრამ ვერელები ვერ უმკლავდებოდნენ გამართულად მოთამაშე რუსთაველებს და მატჩისთვის განკუთვნილი დროც ისე ამოიწურა, ანგარიშში სხვაობა არ შემცირებულა.

რუსთაველებს დევისმა ულიდერა – 19 ქულა, 13 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა. ბაქრაძემ 18 ქულა მიითვალა, უაითის ანგარიშზე კი 13 ქულა და 6 პასი დაგროვდა. ვერელთაგან საუკეთესო იყო ჯოშ ჰავლი, რომელმაც 19 ქულა, 14 მოხსნა, 5 ჩაჭრა და 4 პასი მიითვალა. 17 ქულით დაასრულა შეხვედრა ბრაისონ სკოტმა.

ქუთაისი-ოლიმპი 77:92
(23:24, 15:21, 21:28, 18:19)

ქუთაისელებს ისევ საკადრო პრობლემები აწუხებთ. კოტე ტუღუშის გუნდმა წინა ტურში 3 ლეგიონერის გარეშე ითამაშა და ვერასთან 25 ქულით დამარცხდა. ამჯერად კი ოლიმპთან 77:92 წააგეს.

ტრავმის გამო იმერულ კლუბს დე ჟუან რაითი, რაჰიმ რენსომი და ლიუკ მოიერი ვერ დაეხმარნენ. მასპინძლები პირველ პერიოდში ოლიმპელებს ტოლსწორად ებრძოლნენ, მაგრამ მე-2 ათწუთეულიდან დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა იძალა. ოლიმპის კალათბურთელებმა უპირველესად გუნდური თამაშისა და კარგი დაცვის ხარჯზე მოიპოვეს უპირატესობა, რომელიც თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ და საბოლოოს 15-ქულიანი მოგება გაიფორმეს.

ოლიმპში 6 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, რომელთა შორისაც ყველაზე მეტი კახა ჯინჭარაძემ (17 ქულა) მიითვალა. 15 ქულა და 11 მოხსნა დევანტე ფოსტერის, ხოლო 13 ქულა და 9 მოხსნა დონოვან სმიტის ანგარიშზეა. ქუთაისში 27 ქულით ჟოელ ალმეიდა გამოირჩა, აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე კი 13 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა.

თსუ-მგზავრები 84:92
(25:20, 23:26, 19:26, 17:20)

ერთმანეთს მე-3 ადგილზე მყოფი თსუ და აუტსაიდერი მგზავრები შეხვდნენ. სატურნირო კუთხით უნივერსიტეტელები ფავორიტად ითვლებოდნენ, რადგან მეტოქეზე მთელი 5 მოგებით მეტი ჰქონდათ მოხვეჭილი.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა წინასამატჩო პროგნოზი თავდაყირა დააყენა და გამარჯვების მოპოვება მოახერხა. ეს უპირველესად გუნდური თამაშის შედეგია, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ გამარჯვებულებს შორი სროლები წაუვიდათ. თავად განსაჯეთ: თსუ-მ მთლიანობაში 6 სამიანი ჩააგდო, მგზავრებმა – 17.

ამ კომპონენტში განსაკუთრებული შედეგი ტროი სტიუარდმა აჩვენა, რომელმაც 11-დან 8 3-იანი ჩააგდო და თსუ-ელთა ყველა მცდელობა, თამაშის მსვლელობისას რამე შეეცვალათ, იოლად აღკვეთა. სტიუარდზე არანაკლებად სასარგებლო იყო ოთარ პერტაია, რომელმაც ჩინებულად ითავა გამთამაშებლობა და თავის გუნდელებს გამოზომილი პასებით ამარაგებდა. საბოლოოდ 11 შედეგიანი პასი მოაგროვა, რასაც 11 ქულა და 8 მოხსნა მოაყოლა და სტიუარდის შემდეგ გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო.

შეხვედრა ისე დასრულდა, ბოლო წუთებში მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. მგზავრების კალათბურთელებმა დისციპლინირებული თამაშის წყალობით ბოლო პერიოდში მოპოვებული ხელჩასაჭიდი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს – 92:84.

კაკტუსი-ცხუმი 70:61
(18:15, 16:21, 22:11, 14:14)

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ბოლო პერიოდში ნაჩვენები პროგრესი განაგრძეს და მორიგი გამარჯვება იზეიმეს. რაც შეეხება ცხუმ-აფხაზეთს, პირველი წრის 6 მოგებით გამლევმა გუნდმა მე-2 წრეში უკვე მე-2 მატჩი წააგო.

საკვანძო გამოდგა მე-3 პერიოდი, რომელიც კაკტუსელებმა 22:11 მოიგეს. დიდი შესვენებისთვის საბრძოლო ანგარიში იყო და ცხუმ-აფხაზეთი 36:34 იგებდა, მაგრამ გუნდური თამაშის წყალობით კაკტუსელებმა მოახერხეს მეტოქის გატეხა და ბოლო პერიოდის წინ 9 ქულით გალიდერდნენ.

მოსალოდნელი იყო, რომ ბოლო პერიოდში თამაში ძალიან დაიძაბებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ცხუმელებმა ჩამორჩენა 5 ქულამდე რომ შეამცირეს, დასრულებამდე 3 წუთი რჩებოდა, თუმცა დარჩენილ დროში ეი ჯეი სამბრიმ, სამაი ჯონსმა და ანზორ ნადირაძემ ზედიზედ მიითვალეს ქულები, კაკტუსი 70:59 დააწინაურეს და შეხვედრის ბედი გადაწყვიტეს. საბოლოოდ კაკტუსმა 70:61 იმარჯვა და სუპერლიგის ცხრილში 6-6 მოგებწაგებით ცხუმ-აფხაზეთსა და ოლიმპს გაუთანაბრდა.

კაკტუსელთაგან საუკეთესო სამბრი გახლდათ, რომელმაც 12 ქულა, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 პასი მიითვალა. 15 ქულა და 7 მოხსნა სანდრო სანაძემ, ხოლო 15 ქულა და 4 მოხსნა ჯონსმა მოაგროვა. ლევან მასხულია კი გამარჯვებულებს 14 ქულით შეეხიდა. ცხუმ-აფხაზეთში საუკეთესო შედეგი ეროვნული ნაკრების წევრმა ალექსანდრე ფევაძემ დააფიქსირა – 9 ქულა, 12 მოხსნა, 3 დაფარება. 14 ქულა ჯოშუა მაკფოლის ანგარიშზეა.

ბათუმი-დინამო 102:96
(26:19, 27:21, 23:15, 26:41)

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა აჭარულმა გუნდმა მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი დინამო 102:96 დაამარცხა. ეს გუნდები ბოლო პერიოდში 3-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თასის მერვედფინალში 2 მატჩის ჯამში დინამომ დაძაბულ ბრძოლაში – 1 ქულით იძალა და მეოთხედფინალში გავიდა. ამჯერადაც გვარიანი ბრძოლა გაიმართა, რომელიც აჭარული კლუბის გამარჯვებით დასრულდა.

ბათუმელთაგან საუკეთესო შედეგი ნიკოლა ვუოვიჩმა დააფიქსირა – 16 ქულა, 12 მოხსნა და 6 პასი. 21 ქულით ბომბარდირი ანტუან ჯონსონი გახდა, ხოლო 20 ქულა ლევან ბაბილოძის ანგარიშზეა. დინამოელთაგან საუკეთესო შედეგი ლუკა ბულაშვილმა დააფიქსირა – 36 ქულა, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა. ტაილერ უილიამსის ანგარიშზე 23 ქულა, 8 პასი და 7 მოხსნა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.რუსთავი	11	10	1	931-789	21
2.ქუთაისი	12	9	3	1122-1019	21
3.თსუ	12	7	5	1022-1023	19
4.ცხუმი	12	6	6	945-894	18
5.კაკტუსი	12	6	6	880 913	18
6.ოლიმპი	12	6	6	934-961	18
7.ბათუმი	12	5	7	1035-1099	17
8.ტიტები	11	5	6	884-891	16
9.ვერა	12	4	8	894-968	16
10.დინამო	12	4	8	1039-1080	16
11.მგზავრები	12	3	9	941-990	15

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯანლეიდისპოპი

თაღლითმა თავი მფრინავად გაასაღა და ქალს მანქანა, ტელევიზორი და ბეჭედი გააყიდვინა

ბრიტანელი მარტოხელა დედა გახდა მსხვერპლი თაღლითისა, რომელმაც თავი ამერიკელ მფრინავად გაასაღა და ავტომობილის, ტელევიზორისა და ბეჭის ბეჭდის გაყიდვა აიძულა.

35 წლის ჯული პრაისი ინტერნეტით 12 თვე ურთიერთობდა უცნობ მამაკაცთან. ის თავის პროფილში რეალური სამხედრო მოსამსახურის ჯონათან რამოსის ფოტოსურათს იყენებდა და თავს ასევე ჯონათანად წარადგენდა. მან მოტყუებით აიძულა ქალი, ფული გადაეხადა Amazone-სა და iTunes-ის სასაჩუქრე ბარათებში, რომლებიც თითქოსდა ავღანეთის საავიაციო ბაზაზე ინტერნეტით სარგებლობისთვის სჭირდებოდა.

საერთო ჯამში, პრაისმა თაღლითს 5 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაუგზავნა. მათგან ათასი განკუთვნილი იყო მამაკაცის დიდ ბრიტანეთში ჩასაფრენად, რათა შემდეგ ერთმანეთს შეხვედროდნენ. ამ თანხის შესაგროვებლად ქალი იძულებული გახდა, საკუთარი მანქანა და სამკაულები გაეყიდა. როდესაც ქალი სიცრუეს მიხვდა და საკუთარ ბოიფრენდთან დარეკა, მისი ხმის მოსმენის შემდეგ მიხვდა, რომ აფრიკული წარმომავლობის ამერიკელს ესაუბრებოდა. აღმოჩნდა, რომ თაღლითმა ფოტოსურათები მოიპარა რამოსის ვებგვერდიდან, რომელსაც 104 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თამარ ივერი: „18 წლამდე არასრულწლოვანთა დედებს უნდა ეკრძალებოდეთ უცხოეთში მრავალი წლით სამუშაოდ წასვლა!“

ამ მოსაზრებით ოპერის მომღერალი თამარ ივერი გამოდის და სახელმწიფოს შესაბამისი კანონის მიღების ინიციატივით მიმართავს:

– საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა მიიღოს კანონი: 18 წლამდე არასრულწლოვანთა დედებს უნდა ეკრძალებოდეთ უცხოეთში მრავალი წლით სამუშაოდ წასვლა! წასვლის მაქსიმალური დრო უნდა განისაზღვროს 1 წლით!

გაივსო ქვეყანა საშოვარზე გადაკარგული დედების მიერ უპატრონოდ მიტოვებული, გაუბედურებული ბავშვებით! ისინი შემდგომ ან ოჯახური, ან გოგონები ვინმე მამაკაცის სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ან ცუდ წრეში ვარდებიან: ნარკომანდებიან, აზარტულ თამაშებს ეძალებიან, სწავლა-განათლებაც გვერდით რჩებათ, ხშირად ძლიერ ფსიქოლოგიურ ტრავმებს იღებენ ან, უარეს შემთხვევაში, მიტოვებულნი, მარტოსულნი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი სუიციდით ამთავრებენ სიცოცხლეს!

არანაირი თვეში 800 ევრო და ვიღაც იტალიელი და ბერძენი მოხუცების ღამის ქოთნების ქცევა არ ღირს საკუთარი შვილის გაუბედურებად! ბოლოს და ბოლოს, უნდა დავემსგავსოთ ქვეყანას და უნდა დაენიშნოს 18 წლამდე მოზარდის მშობელს თვეში მინიმუმ 1000-ლარიანი დახმარება! პარლამენტარებო! მოიკელით, გეთაყვა, ისედაც გაბერილი ხელფასები და პრემიები და იზრუნეთ ჯანსაღი თაობის აღზრდაზე მათ მშობლებთან ერთად! მორჩა!

თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია დაწესდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ჩხენკელის ინიციატივით აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია დაწესდება. კონკურსს ორგანიზებას შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი გაუწევს.

თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია გაიცემა ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის. პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ენათმეცნიერების მიმართულებით მოღვაწე დოქტორის ხარისხის მქონე საქართველოსა თუ უცხოეთის მოქალაქეს.

გარდა ამისა, მიხეილ ჩხენკელის ინიციატივითვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამაზ გამყრელიძის სახელობის კაბინეტი გაიხსნება, ხოლო სტუდენტებისათვის მისი სახელობის სტიპენდია დაწესდება.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ევროპის აკადემიის პირველი ქართველი ნამდვილი წევრი, არჩეული იყო ბრიტანეთის, ავსტრიის, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიების, ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. ის წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი და მისი საპატიო პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე. სამოცდაათწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან არაერთი თაობა აღზარდა. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მრჩეველთა საბჭოს წევრი...

თამაზ გამყრელიძემ უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, სწორედ მან მოაწერა ხელი 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ილიას ზუროსმა ახალ ამერიკელსა და დებიუტანტს უხმო

19-21 თებერვალს თბილისი ევრობასკეტ 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ე ჯგუფის მასპინძელია. საქართველოს დედაქალაქში სერბეთის, ფინეთისა და შვეიცარიის ნაკრებები ჩამოვლენ.

ფიბა-მ კოვიდ-უსაფრთხოების მიზნით გათამაშების ფორმატი შეცვალა და თითოეული ჯგუფის თითო ფანჯრის თამაშებს ერთ ქვეყანაში, ერთ დარბაზში ატარებს. საქართველომ უკვე მიიღო მონაწილეობა ფინეთში გამართულ „ბაბლში“, რომლის ფარგლებშიც ფინეთთან და შვეიცარიასთან გამართული ორივე შეხვედრა მოიგო. ფინური თამაშების დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღეში გადაწყდა, რომ მომავალ „ბაბლს“ თბილისი უმასპინძლებდა, სადაც 19 და 21 თებერვალს ე ჯგუფის დარჩენილი ოთხივე შეხვედრა გაიმართებოდა.

თამაშები 19 და 21 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში მაყურებლების გარეშე გაიმართება.

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა მომავალი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა.

შემადგენლობაშია 2 ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი – ყველასთვის კარგად ნაცნობი თად მაკფადენი და ახალი ამერიკელი მოთამაშე კონერ ფრენკამპი. გამომდინარე იქიდან, რომ შეკრება 1 კვირამდე გრძელდება და 2 მატჩია გასამართი, ფიბა-ს რეგულაციის თანახმად, მწვრთნელს საშუალება აქვს, ნებისმიერ დროს შემადგენლობაში ცვლილებები განახორციელოს და საჭიროების შემთხვევაში, ნაკრების გაფართოებული შემადგენლობიდან ნებისმიერი მოთამაშე გამოიძახოს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, სპორტის სასახლის პარკეტზე ორივე მათგანი ვიხილოთ.

ფრენკამპი უკვე საქართველოშია და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა 12 თებერვალს მიიღო. ახალწვეული ესპანეთის უმაღლესლიგელი მურსიას ლიდერია, არის კლასიკური „პირველი ნომერი“ და, გამთამაშებლობასთან ერთად, ბომბარდირული თვისებებითაც არის დაჯილდოებული.

ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატში ფრენკამპი ბომბარდირთა სიაში მე-3 ადგილზეა ფუენლაბრადელი მელო ტრიმბლესა და ტენერიფელი გიორგი შერმადინის შემდეგ. კონერი მატჩში საშუალოდ 16.9 ქულას, 3.6 პასს და 2.3 მოხსნას აგროვებს. ფრენკამპი ესპანეთამდე საბერძნეთის რეტიმნოში და ბულგარულ ბეროეში თამაშობდა. საბერძნეთიდან ესპანურ ლიგაში გაკეთებული დიდი ნახტომი კი იმის შედეგია, რომ ის წინა სეზონში ბერძნულ ოლსტარში მოხვდა. მან ეს იმით დაიმსახურა, რომ 2020 წელს ბერძნული ლიგის ბომბარდირი გახდა საშუალოდ მოგროვებული 20.8 ქულით.

ფრენკამპის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ჯილდო გახლავთ ოქროს მედალი, რომელიც მან 2012 წელს, ლიტვაში გამართულ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში მოიგო. ფრენკამპი 2012 წლის მსოფლიოს 17 წლამდე ჩემპიონატზე ამერიკის ნაკრების ბომბარდირი იყო.

სტუდენტურ კალათბურთში ფრენკამპს ისეთ სახელიან გუნდში უთამაშია, როგორიცაა კანზასი, სადაც 1 სეზონი გაატარა, რის შემდეგაც ასევე ცნობილ ვიჩიტაში გადავიდა და 2017 წელს კონფერენციის მვპ გახდა.

ეროვნულ ნაკრებს დაეხმარებიან ახლახან სერბულ ბორაცში გადასული დუდა სანაძე და ესპანური გრან კანარიას წევრი ბექა ბურჯანაძე. თბილისშია და ნაკრების მატჩებში მიიღებს მონაწილეობას ყატარულ ალ შამალში მოთამაშე მიხეილ ბერიშვილი, ხოლო საუდის არაბეთში მყოფი გიორგი ცინცაძე ამ ქვეყნის მკაცრი კოვიდ-რეგულაციების გამო საქართველოში ჩამოსვლასა და ეროვნული გუნდის დახმარებას ვერ ახერხებს.

საქართველოს ნაკრებს ასევე ვერ დაეხმარება გუნდის კაპიტანი თორნიკე შენგელია, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაშავდა და, მართალია, მძიმე ტრავმას გადაურჩა, მაგრამ უახლოეს პერიოდში მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს.

ნაკრებში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ ამერიკაში მოთამაშე ქართველები – ინდიანა პეისერსის ცენტრი გოგა ბითაძე და ნცაა-ს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი სანდრო მამუკელაშვილი. მოგეხსენებათ, ოკეანის გაღმა გახურებული სეზონია და ამ დროს იქ მოთამაშე კალათბურთელების ნაკრებში თამაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნაკრებში პირველად გამოიძახეს გიორგი თვალაბეიშვილი, კლუბ რუსთავის 22 წლის ცენტრი, ხოლო ოლიმპის ლიდერი კახა ჯინჭარაძე ეროვნულ გუნდს 5-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

საქართველოს გაფართოებული ნაკრები:

გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე, კონერ ფრენკამპი, თად მაკფადენი, მიხეილ ბერიშვილი, ლუკა ზაქრაძე, გივი ბაქრაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჯანიძე, ალექსანდრე ფევაძე, ბექა ბექაური, გიორგი კორსანტია, ილია ლონდარიძე, გიორგი თვალაბეიშვილი, კახა ჯინჭარაძე.

შედეგები

13 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ლივერპული	3:1
კრ.პალასი-ბარნლი	0:3
სიტი-ტოტენჰემი	3:0
ბრაიტონი-ასტონ ვილა	0:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	23	16	5	2	46-14	53
2.ლესტერი	24	14	4	6	42-26	46
3.მანჩესტერი	23	13	6	4	49-30	45
4.ლივერპული	24	11	7	6	45-32	40
5.ჩელსი	23	11	6	6	38-24	39
6.ვესტ ჰემი	23	11	6	6	34-28	39
7.ევერტონი	21	11	4	6	34-28	37
8.ასტონ ვილა	22	11	3	8	36-24	36
9.ტოტენჰემი	23	10	6	7	36-25	36
10.ლიდსი	22	10	2	10	38-38	32
11.არსენალი	23	9	4	10	27-23	31
12.საუთჰემპტონი	22	8	5	9	29-37	29
13.კრ.პალასი	24	8	5	11	27-42	29
14.ვულვზი	23	7	6	10	23-31	27
15.ბრაიტონი	24	5	11	8	25-30	26
16.ბარნლი	23	7	5	11	17-29	26
17.ნიუკასლი	23	7	4	12	25-38	25
18.ფულემი	22	2	9	11	17-31	15
19.ვესტ ბრომვიჩი	23	2	6	15	18-54	12
20.შეფილდი	23	3	2	18	15-37	11

ინგლისი. ჩემპიონიერლიგა

ნოტინგემი-ბორნმუთი	0:0
ბირმინგემი-ლუთონი	0:1
დერბი-მიდსლბრო	2:1
კარდიფი-ქოვენთრი	3:1
ნორვიჩი-სტოკი	4:1
რედინგი-მილუოლი	1:2
უოტფორდი-ბრისტოლი	6:0
ჰადერსფილდი-უიკომბი	2:3

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-მაინცი	2:2
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი	2:2
ვერდერი-ფრაიბურგი	0:0
შტუტგარტი-ჰერტა	1:1
უნიონი-შალკე	0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	20	15	3	2	58-26	48
2.ლაიფციგი	21	13	5	3	37-18	44
3.ვოლფსბურგი	20	10	8	2	32-19	38
4.ლევერკუზენი	21	10	6	5	39-23	36
5.აინტრახტი	20	9	9	2	41-29	36
6.დორტმუნდი	21	10	3	8	41-31	33
7.გლადბახი	20	8	8	4	37-31	32
8.ფრაიბურგი	21	8	7	6	35-33	31
9.უნიონი	21	7	9	5	34-25	30
10.შტუტგარტი	21	6	8	7	38-35	26
11.ვერდერი	20	5	8	7	24-27	23
12.ჰოფენჰაიმი	21	6	5	10	32-39	23
13.აუგსბურგი	21	6	4	11	21-34	22
14.კიოლნი	20	5	6	9	20-33	21
15.ჰერტა	21	4	6	11	26-37	18
16.არმინია	19	5	2	12	15-32	17
17.მაინცი	21	3	5	13	21-42	14
18.შალკე	21	1	6	14	15-52	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-ფიურტი	0:0
ზანდჰაუზენი-კარლსრუე	2:3
ჰაიდენჰაიმი-აუე	2:0
რეგენსბურგი-ფორტუნა	1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ატლეტიკო	1:2
სევილია-უესკა	1:0
ეიბარი-ვალიადოლიდი	1:1
ბარსელონა-ალავესი	5:1

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	21	17	3	1	44-13	54
2.რეალი	22	14	4	4	39-19	46
3.ბარსელონა	22	14	4	4	49-21	46
4.სევილია	22	14	3	5	32-16	45
5.ვიოლიარეალი	22	8	12	2	31-22	36
6.სოსიედადი	22	9	8	5	36-20	35
7.გრანადა	23	8	6	9	27-38	30
8.ბეტისი	22	9	3	10	29-37	30
9.სელტა	23	7	8	8	29-34	29
10.ლევანტე	21	6	9	6	31-31	27
11.ბილბაო	21	7	4	10	28-26	25
12.ხეტაფე	22	6	6	10	17-28	24
13.ვალენსია	22	5	9	8	28-30	24
14.კადისი	22	6	6	10	20-35	24
15.ოსასუნა	22	5	7	10	21-31	22
16.ალავესი	23	5	7	11	20-34	22
17.ეიბარი	23	4	9	10	19-26	21
18.ვალიადოლიდი	23	4	9	10	22-34	21
19.ელჩე	21	3	9	9	19-31	18
20.უესკა	23	2	10	11	18-33	16

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კარტახენა-რაიო	2:2
მირანდესი-ხირონა	3:3
ტენერიფე-პონფერადინა	1:0

იტალია. სერია ა

ტორინო-ჯენოა	0:0
ნაპოლი-იუვენტუსი	1:0
სპეცია-მილანი	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.მილანი	22	15	4	3	45-25	49
2.ინტერი	21	14	5	2	51-23	47
3.იუვენტუსი	21	12	6	3	41-19	42
4.ლაციო	21	12	4	5	36-27	40
5.ნაპოლი	21	13	1	7	45-21	40
6.რომა	21	12	4	5	44-35	40
7.ატალანტა	21	10	7	4	48-29	37
8.სასუოლო	21	8	7	6	34-32	31
9.ვერონა	21	8	6	7	26-23	30
10.სამპდორია	21	8	3	10	31-32	27
11.ჯენოა	22	6	7	9	24-31	25
12.სპეცია	22	6	6	10	30-38	24
13.ბენევენტო	22	6	6	10	25-42	24
14.უდინეზე	21	6	6	9	23-28	24
15.ბოლონია	22	6	6	10	29-36	24
16.ფიორენტინა	21	5	7	9	21-33	22
17.ტორინო	22	2	11	9	32-41	17
18.კალიარი	21	3	6	12	24-39	15
19.პარმა	21	2	7	12	14-41	13
20.კროტონე	21	3	3	15	22-50	12

იტალია. სერია ბ

სალერნიტანა-ვიჩენცა	1:1
კრემონეზე-ლეჩე	1:2
პესკარა-ვენეცია	0:2
პორდენონე-ჩიტადელა	0:1
სპალი-ემპოლი	1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

პსჟ-ნიცა	2:1
რეიმსი-ლანსი	1:1
ლიონი-მონპელიე	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	25	17	3	5	57-15	54
2.ლილი	24	16	6	2	42-15	54
3.ლიონი	25	15	7	3	51-22	52
4.მონაკო	24	15	3	6	50-35	48
5.რენი	23	10	8	5	31-24	38
6.ლანსი	25	10	7	8	35-34	37
7.მეცი	24	9	8	7	28-22	35
8.მონპელიე	25	10	5	10	41-45	35
9.ანჟე	24	10	4	10	29-37	34
10.მარსელი	22	9	6	7	29-26	33
11.ბორდო	24	9	5	10	27-29	32
12.ბრესტი	24	9	3	12	37-44	30
13.რეიმსი	25	7	8	10	31-33	29
14.ნიცა	24	8	5	11	28-33	29
15.სტ.ეტიენი	24	6	8	10	23-36	26
16.სტრასბური	24	7	4	13	32-39	25
17.ლორიანი	23	6	4	13	28-43	22
18.ნანტი	24	3	10	11	22-39	19
19.დიჟონი	24	2	9	13	17-36	15
20.ნიმი	23	4	3	16	20-51	15

საფრანგეთი. ლიგა 2

ოსერი-გენგამი	1:1
გრენობლი-ამიენი	0:0
დიუნკერკი-ნანსი	1:2
კაენი-ნიორი	1:0
კლერმონი-შამბლი	1:0
პო-პარიზი	1:1
ტრუა-როდეზი	2:1
შატორუ-ლე ავრი	0:1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-ზვოლე	1:0
სპარტა-სიტარდი	1:2
დენ ჰააგი-პსვ	2:2
ერაკლესი-აიაქსი	0:2

პორტუგალია. პრემიერ ლიგა

ნასიონალი-ფარენშე	2:3
გიმარაეში-რიუ ავე	1:3
პორტუ-ბოავიშტა	2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ადმირა	2:1
ტიროლი-ზალცბურგი	2:4
ალტახი-რაპიდი	0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.მირენი	0:0
დ.იუნაიტედი-ლივინგსტონი	3:0
მოზერველი-ჰამილტონი	1:4
რეინჯერსი-კილმანროკი	1:0

ბელგია. ა დივიზიონი

სტ.ტრუიდენი-ვარეგემი	1:2

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ანკარაგიუჯიუ	0:0
ტრაბზონი-გაზიანთები	1:0
ქარაგუმრუქი-ფენერბახჩე	1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ლამია	0:0
აპოლონი-ატრომიტოსი	2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბრნო-ზლინი	0:0
ოპავა-პრჟიბრჟამი	0:0
სლავია-პარდუბიცე	3:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-სერვეტი	3:1
სიონი-სტ.გალენი	1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-პოდბესკიჟიე	1:1
პოგონი-პიასტი	0:0
ჩენსტოხოვა-ლეხია	0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-დესნა	2:1
მინაი-ლვოვი	1:2
დინამო-ოლიმპიკი	3:1

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პრიზიორობა

კაცები

ალიასიმი-კარაცევი	6:3,6:1,3:6,3:6,4:6
ტიმი-დიმიტროვი	4:6,4:6,0:6
ლაიოვიჩი-ზვერევი	4:6,6:7,3:6

ქალები

მუგურუზა-ოსაკა	6:4,4:6,5:7
სე-ვნდროუშოვა	6:4,6:2
სობოლენკო-ს.უილიამსი	4:6,6:2,4:6
შვიატეკი-ჰალეპი	6:3,1:6,4:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. ლიტერატურული ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გარკვეული ნიშნით შერჩეულ საგანთა ჩამონათვალი, ნუსხა; 8. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 11. უბანი თბილისში; 12. ძველი ირანული სალიტერატურო ენა; 16. გადასატანი ქუჩის კარავი შუა აზიაში; 17. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

თარაზულად: 1. სახელგანთქმული ექიმის ძველი ქართული სახელწოდება; 5. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. რომელიმე რელიგიის ახალი მიმდევარი; 9. ქრისტიანული სამლოცველო, ეკლესია; 10. მარცვლეულის, საქონლის, ხელსაქმის მფარველი ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 13. საცხოვრებელი თბილისში; 14. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 15. ბებერი თხა; 19. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ხიდის საყრდენი ბურჯი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კვებეკი; 2. ჯოკონდა; 3. ალგეთი; 4. ამირა; 5. ბალატონი; 7. ფხა; 11. კოპიჭი; 15. ითხვისი; 16. წიქარა; 17. პიაფი; 18. ქცევა; 20. ხუნდი; 22. ჟირო.

თარაზულად: 6. ვაგიფი; 8. მორთული; 9. ენისელი; 10. ბურნაკუ; 12. დათვი; 13. აზოტი; 14. კამპრადი; 19. ჩახმახი; 21. მირაჟი; 23. ციცქა; 24. აფიორა; 25. ესკადრა; 26. ჩასპანდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იადონი; 2. ბითაძე; 3. ღლიღვები; 4. ისლამი; 6. ტოპონიმი; 8. თრომბი; 11. ხამანწკა; 12. პოლიცია; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. ზუმხა.

თარაზულად: 1. იამბიკო; 5. კანტი; 7. გლობუსი; 9. ოტიატრი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ხანუმა; 15. ჟოქო; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ჰავანა.

თანაგრძნობა
ლეილა გაფრინდაშვილს

ჩემო საყვარელო ლეილა ექიმო, პოეტო, დედაზე უსაზღვროდ შეყვარებულო, ფიქრი **გ ა მ ი მ ნ უ ხ ა რ დ ა**, ფიქრი, ჭიათურაში მიმავალს რომ დაგადევნე გზაში, როცა მითხრეს, დედა მოუკვდაო...

თბილისი-ჭიათურა! რა ხშირად მიიჩქაროდი ქალიშვილი დედის მოსაფერებლად, წამლად რომ ექცეოდა ხოლმე შენი ჩახუტება, ჯანგატეხილს.

თბილისში ამაგდარი ძმისა და რძლის იმედით იმშვიდებდი გულს.

ვაი, რომ ვეღარ მოგაგებებს სითბოს დედის მზრუნველი თვალები. განცდას გულში ვერ ვიტევ, ისე მებრალები. ასე მგონია, დედაჩემი სონია ჯიბუტი დღეს მომიკვდა. უდედობის ტკივილის მოშუშება დროს განა შეუძლია?!

ნათელი ადგეს შენი დედიკოს მარადიულ სამყოფელს!

ზღვა თანაგრძნობით
ნანა დარჩიაშვილი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2888	ევრო — 3.9824
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5359	100 რუსული რუბლი — 4.4277

ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისათვის

16 თებერვლიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 1

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კუმანი: „ბარსელონა ძალიან კარგ ფორმაშია“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ალავესთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია, თუმცა ყოველთვის უნდა იმუშაო იმისთვის, რომ პროგრესი განიცადო:

– ალავესთან ძალიან კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეტოქემ გოლი გაგვიტანა, მაგრამ წინ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩია და მოდუნების უფლება არ გვაქვს. იმედი მაქვს, რომ პსჟ-სთან საუკეთესო ფორმაში ვიქნებით.

სოლსკიაერი: „ჰოლანდს შესანიშნავი კარიერა ექნება“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავის თანამემამულე ერლინ ჰოლანდზე ისაუბრა და თქვა, რომ მის თამაშს ყურადღებით ადევნებს თვალყურს და ფიქრობს, რომ ჰოლანდს შესანიშნავი კარიერა ექნება, თუ მან პოტენციალი ბოლომდე გამოიყენა:

– ჰოლანდი ძლიერი ფორვარდია და დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა მან ეს უნდა გამოიყენოს. მიხარია, რომ ნორვეგიას ჰყავს ნიჭიერი ფეხბურთელები.

ისკო, შესაძლოა, სევილიაში გადავიდეს

მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო, დიდი ალბათობით, ზაფხულში გუნდს დატოვებს, რადგან ზიდანის გეგმებში ის არ შედის და ისკო იშვიათად გამოდის მოედანზე.

ისკო, სავარაუდოდ, სევილიაში გააგრძელებს კარიერას და ამ გუნდთან 2– წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ისკო რეალში 2012 წელს გადავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი გოგონა მეორეს უყვება:

– იცი, გუშინ მამამ ყველანი რესტორანში დაგვპატიჟა და გვაქეიფა. იმდენი ვჭამეთ, იმდენი, რომ კინაღამ გავსკდით...

– რატომ კინაღამ? რა, მამაშენს ფული აღარ ეყო?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ მიტინგზე დაპატიმრებული მუნჯი ლოზუნგების სკანდირებისთვის დააჯარიმეს.

– ისე, რომ იცოდე, დაკავებამდე მუნჯი არ ყოფილა.

●●●

პატარა ბიჭი დედას ეკითხება:

– დედიკო, ვინაა მამაჩემი?

– თოვლის პაპა, შვილო.

– ეგ როგორ?

– როგორ და ღამით მოვიდა, შენი თავი მაჩუქა და იმის მერე აღარ გამოჩენილა.

●●●

ქმარს ტელეფონი სახლში დარჩა. საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა, ნახა, რომ სმს შეტყობინებები ჰქონდა მიღებული. კითხულობს:

– ძვირფასო, საყვარელო, დამირეკე, გკოცნი, შენი მარინა.

კითხულობს მეორეს:

– უკვე დავურეკე, აღარ შეწუხდე, შენი მეუღლე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– კომუნალური გადასახადები ბავშვებივითაა, იზრდებიან და იზრდებიან.

– მერე, როდის მიაღწევენ ზრდასრულ ასაკს?

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, 14 თებერვალს რა დღესასწაულია?

– ეგ ისეთი დღეა, როდესაც პირველ აპრილზე უფრო ხშირად იტყუებიან...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზურა დოიჯაშვილი გარდაიცვალა

57 წლის ასაკში მომღერალი ზურა დოიჯაშვილი გარდაიცვალა. იგი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ისრაელში აპარატზე იყო მიერთებული. როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ, მომღერალი გათიშული იყო და მხოლოდ გული უმუშავებდა.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მისმა მეუღლემ ქეთი ვადაჭკორიამ გაავრცელა:

– ვერ აგისრულე, ვერ დაგაბრუნე თბილისში ცოცხალი. ბოდიში – დაწერა სოციალურ ქსელში მომღერლის მეუღლემ.

ზურა დოიჯაშვილი საქართველოდან გაუსაძლისი პირობების გამო წავიდა. სამწუხაროდ, სამშობლოს გარეშე ვერ გაძლო და ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. ის მეუღლეს მხოლოდ ერთ სთხოვდა – დაებრუნებინა საქართველოში, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

მომღერლის საქართველოში დასაბრუნებლად მისი მეგობრები გაერთიანდნენ, ჩატარდა საქველმოქმედო მარათონი, რათა შეგროვებულიყო თანხა და ზურა სპეცრეისით საქართველოში დაებრუნებინათ, თუმცა მისი სამშობლოში ჩამოყვანა ვერ მოესწრო.

კულტურის პალატის ორგანიზებით, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ზურა დოიჯაშვილის ვარსკვლავიც გაიხსნა.

ეკა კვალიაშვილი:

– რატომ ხდება ასე, საკუთარ ქვეყანაში დააავადეს ადამიანი გაჭირვებისა და ნერვიულობისგან, გააქციეს უამრავი ადამიანი და განსაკუთრებით ხელოვანები... სხვა ქვეყნებმა დააფასეს და შემდეგ საკუთარში მოღალატეები უწოდეს, შეიწირეს, ნოსტალგიითა თუ განცდებით, დაუმსახურებელი მოპყრობითა და ჭორებით. იმის მაგივრად, სიყვარული მიეცათ ადამიანებისთვის, იმის მაგივრად მოფერება და სითბო გაეცათ. დააავადეს და...

მაინც გიჟდებიან მკვდრებზე, ჰოდა მაგ დროს გრძნობენ მხოლოდ პრივილეგიას, რომ თვითონ ცოცხლები არიან და ის ვიღაც უკვე აღარ არის! ჰოდა ისეთი ვარ, არ იცით. მე, ეკა კვალიაშვილს, ნეტავ მქონოდა საშუალება და თავი იმის, მქონოდა ფინანსური დამოუკიდებლობა, რომ ზურას დავხმარებოდი, ნეტავ ცოცხალი ჩამოსულიყო, ნეტავ საერთოდ არ წასულიყო. მოკლედ, ვისაც შეეძლო და არ მიაქცია ყურადღება ზურა დოიჯაშვილს, ვინც ფეხზე დაიკიდა ადამიანის სიცოცხლე და საერთოდ ადამიანები, იცოდეთ, კარმა არსებობს, კარმა კი ბუმერანგია და ელოდეთ.

მოკლედ, ჩვენი ზურა დოიჯა, ჩვენი უსაყვარლესი, უკეთილშობილესი და საოცარი ზურა აღარ გვყავს.

და არ გაბედოს არავინ და არც კი დაასვეღოს სიტყვა ცუდი და ავადმყოფობას კოვიდი არ მიაწეროს, თორემ პირადად მე გავცემ პასუხს და, ვაი, მას, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება. დღეს ზურა აღარ გვყავს ფიზიკურ სხეულში, ჩვენი ზურა, ჩვენი ზურიკო. ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო ზურიკო. ძალიან მიყვარხარ.

ანიტა რაჭველიშვილი ესპანეთში იმღერებს



ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი 27 თებერვალს ესპანეთში იმღერებს.

სასიხარულო ინფორმაცია ქართველმა ხელოვანმა თავად გაავრცელა:

– კარგი ამბავი მაქვს! 27 თებერვალს დაიგეგმა კონცერტი ბილბაოს ოპერაში მაესტრო ვინჩენცო სკალერასთან ერთად! ძალიან გახარებული ვარ! ვინც შეძლებთ ჩამოსვლას და ესპანეთში ცხოვრობთ, ყველას გელოდებით. შევასრულებთ კამერულ მუსიკასა და ცნობილ არიებს.

ოთარ იოსელიანის ფილმები ეროვნულ არქივში იქნება დაცული



ცნობილმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს საკუთარი ფილმების ელექტრონული ვერსიები გადასცა.

1950-იანი წლებიდან 2015 წლამდე საქართველოსა და საფრანგეთში გადაღებული 21 დოკუმენტური და მხატვრული ფილმის მაღალი ხარისხის ციფრული ასლი ამიერიდან საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდის ნაწილი გახდა. ფილმების სკანირება და ციფრული რესტავრაცია საფრანგეთში განხორციელდა.

ფილმებს შორისაა „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, „ძველი ქართული სიმღერა“, „თუჯი“, „მთვარის ფავორიტები“, „შემოდგომის ბაღები“, „ეპლებზე ნადირობა“...

ეროვნულ არქივში დაცულია 36 ათასზე მეტი კინოფირი, ასევე ფილმების ციფრული ვერსიები. მათ შორის უძველესია 1909 წელს თბილისში გადაღებული კინოსიუჟეტი და 1912 წლით დათარიღებული პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური კინონაწარმოები „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ეროვნულ არქივში სისტემატურად მიმდინარეობს ფილმების გაციფრება 4კ გარჩევადობის კინოსკანერზე და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ციფრული რესტავრაციაც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა მანქანაში საწვავი ჩაასხა და გამდიდრდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ მეიდენის მკვიდრი ამტკიცებს, რომ ლატარიაში ჯეკპოტი იმის წყალობით მოხსნა, რომ ავტომობილში საწვავი გაუთავდა.

კრისტოფერ რეი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ავტოგასამართ სადგურზე მხოლოდ ავტომობილის ავზის საწვავით შესავსებად შევიდა. იქ მან მიწაზე დაგდებული პენი იპოვა და მონეტა იმის ნიშნად აიღო, რომ ნაპოვნი წარმატების მომტანია. ამის შემდეგ ამერიკელმა მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთი იყიდა და იქვე შეამოწმა შედეგები.

ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და მან რეისა 250 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ ლატარიაში გავიმარჯვე, პირდაპირ დაუჯერებელია, – აღიარა გათამაშების გამარჯვებულმა, თუმცა არ ამბობს, თუ რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 თებერვლისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. გამორიცხული არ არის დიდი სკანდალი ძველ პარტნიორთან. **კურო** – იკითხეთ ფილოსოფიური და კლასიკური ლიტერატურა. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გადაღლას ერიდეთ. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღეს შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ეს საოცარ სულიერ კმაყოფილებასა და სიმშვიდეს მოგგვრით. **ლომი** – ეჭვიანობისაგან გათავისუფლდით. წყენას ნუ დაიმახსოვრებთ. გაუფრთხილდით ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან. **ქალწული** – თქვენი პრობლემების შესახებ ნურავის უამბობთ. ეცადეთ, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნოთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში იფრთხილეთ, განსაკუთრებულად დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები. საღამოს სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **ღრიანკალი** – პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. მატყუარა და კონფლიქტური ადამიანებისაგან თავი შორს დაიჭირეთ. **მუხლოსანი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. შანსი გეძლევათ, საკუთარი პრობლემები თავად მოაგვაროთ. **თხის რქა** – სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, შედეგებზე დაფიქრდით. კონფლიქტს თავიდან იოლად აიცილებთ. **მერწყული** – იყავით დიდსულოვანი და გულუხვი. ფინანსურ სფეროში დიდი წარმატება გელით. **თევზები** – ერიდეთ შორეულ მგზავრობას. საღამო საიმედო მეგობრების წრეში გაატარეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. საარტილერიო იარაღი; 2. სპარსეთში პროვინციის მმართველი, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 3. მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში გავრცელებული მცენარე ან ცხოველი; 4. ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 5. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 7. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. სატირული ხასიათის მიბაძვა; 16. ქართული სამშენებლო კომპანია; 17. ბრიტანული არაყი; 18. მომაბეზრებელი ლაპარაკის მოყვარული, მოლაქლაქე ადამიანი; 20. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი.

თარაზულად: 6. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. გადასახდელზედიანი ძველებური ეტლი; 9. პატარა სამკუთხა ალამი; 10. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 13. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 14. მდინარე აშშ-ში; 19. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 21. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 23. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 24. ჩვილი ბავშვის საწოლი; 25. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 26. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა